უფრო მაღლა ავწიოთ

სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 158 (12072) | პარასკევი, 14 ივლისი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

სიჯუვა და საქმე ერთი უნდა იყოს

დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ცხოვრობენ ამ დღეებში საბჭოთა ადამიანები. საწარმოებში, შახტებსა და მაღაროებში, მშენებლობებზე და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თვითეული მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოღვაწე ისწრაფვის ახალ-ახალი წარმატებებით შეეგებოს პარტიის XXII ყრილობას.

სკკ XXII ყრილობისათვის მზადების პირველსავე დღეებში რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოთა კოლექტივებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადდებული ვალდებულებები იკისრეს.

შრომის ფრონტზე ბრძოლის ნახევარი წელი გავიდა. შემართებული შრომით რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა და კოლმეურნეობებმა აღებული ვალდებულებებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ 103,7 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია. ამ საერთო წარმატებებში ჯანსაღუთრებით დიდი წვლილი „მიუძღვით რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს. აღებული ვალდებულებების განაღდებისათვის ბრძოლაში კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, ცალკეულმა დამკვრელებმა არნახულ წარმატებას მიაღწიეს. ბევრი მათგანი შვიდწლედის მესამე წლის ზღვეებს მიუახლოვდა.

აღებული ვალდებულებების განაღდებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი. აქ ნახევარი წლის დავალება ვადამდე, სრული მეტალურგიული ციკლით შესასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს დიდძალი ფოლადი, თუჯი, ნაგლინი და მეტალურგიული წარმოების სხვა პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით რამდენიმე მილიონი მანეთი შეიტანეს შვიდწლედის ეკონომიის ფონდში.

რუსთავის მეტალურგებს არ ჩამორჩებიან ზესტაფონელი ფერომდნობელები და ჭიათურის მაღაროელები.

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო წარმატებები კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ მოწინავე საწარმოთა გვერდით ჯერ კიდევ არ იყოს ჩამორჩენილი საწარმოები. რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის ყველაზე სერიოზული ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ დიდია იმ საწარმოთა ხვედრითი წონა, რომლებიც ვერ ასრულებენ როგორც საერთო პროდუქციის გამოშვების საწარმოო პროგრამას, ისე თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებებს. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 80 საწარმოს არ შეუსრულებია საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა. საერთოდ საწარმოთა 25 პროცენტს არ შეუსრულებია შრომის ნაყოფიერების დავალება, ხოლო ერთ მესამედს არ შეუსრულებია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენებას. ამიტომ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში გაიზარდა დანაკარგები და უნაყოფო ხარჯები.

საქართველოს მუშათა კლასთან ერთად, სოფლის მეურნეობის მუშაკები, რომლებიც შეიარაღებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის გადაწყვეტილებებით, წარმატებით იბრძვიან ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10 ივლისისათვის მოკრეფილია 6516 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი. მაგრამ მეჩაიეობის რაიონების მშრომელებს ეს ერთი წუთითაც არ აძლევს დამშვიდების უფლებას. პირიქით, თუ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი არ გავაძლიერეთ, შეიძლება ნაკისრი ვალდებულება ვერ შევასრულოთ.

ავიღოთ რესპუბლიკის მეჩაიეობის ყველაზე დიდი რაიონი — მახარაძის რაიონი. აქ ბევრი მოწინავე კოლმეურნეობა და გამოჩენილი მეჩაიე შარშანდელზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფს. მაგრამ მიუხედავად ამისა, გეგმის შესრულებაში რაიონი მაინც ჩამორჩება. შარშან 13 ივლისისათვის მოკრეფილი ჰქონდათ 19.144 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 69,9 პროცენტს შეადგენდა. წელს ამავე პერიოდისათვის მოკრეფილია 19.641 ტონა, ანუ წლიური გეგმის 64,2 პროცენტი. ე. ი. შარშანდელთან შედარებით მახარაძელი მეჩაიეები ჩაის კრეფის გეგმის შესრულებაში 5,7 პროცენტით ჩამორჩებიან. გასულ წელთან შედარებით ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში ასევე ჩამორჩებიან აჭარისა და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკები, ზუგდიდის, გალისა და მთელი რიგი სხვა რაიონები.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლით მთელმა რიგმა რაიონებმა გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდეს წველადობა და სახელმწიფოს გეგმის ზევით მიჰყიდეს რძე და რძის პროდუქტები. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონმა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წველადობა გაადიდა 16,3 პროცენტით, რაც 904 ტონას შეადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა ყველგან როდი წარმოებს ჯეროვანი დაძაბვით. მაგალითად, გუდაუთის რაიონში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წელს წველადობამ დაიკლო 44,1 პროცენტით, რაც 247 ტონას შეადგენს. სახარბიელო მდგომარეობა არც მცხეთის რაიონს აქვს. აქ წველადობა შარშანდელთან შედარებით 18,4 პროცენტით შემცირდა. ეს რაიონები გამონაკლისი არ არის.

ნახევარი წელი წინ არის. ახლა მთავარია დავრაზმოთ მთელი ძალები, მთელი საშუალებანი ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. მკაცრი გაკიცხვის ღირსი არიან ის ხელმძღვანელები, რომლებიც წლის დასაწყისში მაღალფარდოვან სიტყვებს წარმოთქვამდნენ, დიდ ვალდებულებებს კისრულობდნენ, შემდეგ კი უდარდელ სიმშვიდეს მიეცნენ. მებრძოლი შემოქმედებითი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში — აი რა არის საჭირო ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ზოგიერთი მუშაკი გეგმის შესრულებას სჯერდება. მაგრამ არ უნდა დავგვიწყდეს, რომ გეგმა ის მინიმუმია, რომლის შესრულება სავალდებულოა. ჩვენს დროში, როცა ამძრავებულია ეკონომიკის დაუშრეტელი რეზერვები და მასების მგზნებარე ინიციატივა, გონივრული არ არის დაკმაყოფილდეთ მინიმუმით. მარტო მშვიდი ცხოვრების მოყვარულებს შეუძლიათ დასჯერდნენ გეგმის შესრულებას, როცა გარშემო ჩქეფს ხალხის ინიციატივა, მასების შემოქმედებითი ენერგია.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მუშაკებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ყველა ადამიანს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი პირნათლად შეასრულონ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში ნაკისრი ვალდებულებანი. ახლა მთავარია პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჩაუდგენ სათავეში მშრომელთა ფართო შეჯიბრებას, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ნოვატორთა დონეზე ავიყვანოთ კოლექტივების საერთო მაჩვენებლები. ამით უზრუნველყოფთ ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, შეეკმნით ჩვენს ქვეყანაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს.

სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს.

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲕ!

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲘ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შორს არის განთქმული ზესტაფონელ მეტალურგთა შრომითი თავდადება და მათი ძვირფასი პროდუქცია. აქაური ფერომდნობელები, რომლებიც პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში არიან ზაპოროჟიელ და ალავერდელ მეტალურგებთან, ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ. პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის ზესტაფონელმა მეტალურგებმა უნდა გამოადნონ ასობით ტონა ზეგეგმური ფეროშენადნობი. ექვს თვეში გამოდნობილია ათასობით ტონა ზეგეგმური ლითონი. მარტო მეორე საამქროს კოლექტივმა, რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი შ. თედოზაშვილი უძღვება და იბრძვის კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის, ექვს თვეში საშობლოს მისცა ასობით ტონა ზეგეგმური შენადნობი, 10 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება, 4,6 პროცენტით შეამცირა ლითონის თვითღირებულება. მაღალნაყოფიერად შრომობენ პირველი და მესამე საამქროების კოლექტივებიც. ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა შრომის ნაყოფიერება 0,3 პროცენტის ნაცვლად გაადიდა 3,7 პროცენტით, მარტო ხუთ თვეში დაზოგა 20.000 მანეთი.

მათთვის ჩვეული თავდადებითა და შეუპოვრობით მუშაობენ კ. ცქიფურაშვილის, კ. მდივნის, ი. კოვზირიძის, რ. სხილაძის, შ. დადუნაშვილის, ს. კვინიკაძის, ვ. ყანჩაველის, ს. ფერაძის ბრიგადები, რომლებიც ერთ წელზე მეტია ღირსეულად ატარებენ კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲒᲓᲔᲡ...

ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ბ. დადვაძემ გუშინ გადაიღო, თქვენ ხედავთ ხობის რაიონის სოფელ ხორგას კოლმეურნეობის მოწინავე მესიმინდეს კ. ჯოჯუას (მარცხნივ) თავის შესანიშნავ სიმინდის ყანაში.

წერილი კ. ჯოჯუას შრომითს საქმიანობაზე იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე სათაურით „მინდვრის დედოფლის“ დიდი მეგობარი.

ᲛᲝᲚᲓᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲛᲣᲨᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ

ნულუკიძის რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პირველი აგრემუშის პარკის მიყიდვის გეგმა. მიყიდულია 191973 კილოგრამი პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებ ე ბ უ ლ ი 191000 კილოგრამისა.

სახელმწიფოს ს ა თ ვ ი ს აგრემუშის პარკის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ

იზოლდა წოწორნავას რგოლის თვითეულმა წევრმა გადაწყვიტა ყოველდღიურად 5-10 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს შარშანდელთან შედარებით

ჯარგა ხანია ცნობილი გახდა წულუკიძელი მეჩაიის, კომკავშირელ იზოლდა წოწორნავას წარმატება. მას ვალდებულება ჰქონდა ნაკისრი წელს მოეკრიფა 16.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოკრეფილი აქვს 11.448 კილოგრამი. ქალაქის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილ კომკავშრულ-ახალგაზრდულ რგოლს, რომელსაც იზოლდა წოწორნავა ხელმძღვანელობს, მინიჭებული აქვს კომუნისტური შრომის რგოლის სახელი.

ამ რგოლში ათი წევრია. ამ დღეებში მათ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ახალი ინიციატივა გამოიჩინეს: **რგოლის თვითეული წევრი 13 ივლისიდან ყოველდღიურად მოკრეფს შარშანდელთან შედარებით 5-10 კილოგრამით მეტ ჩაის ფოთოლს. თვითონ მერგოლური იზოლდა წოწორნავა — 30-40 კილოგრამით მეტს და საშუალოდ დღეში მოკრეფს 150-200 კილოგრამს, ხოლო სულ — 18.300 კილოგრამს ნაცვლად წინათ ნაკისრი 16.000 კილოგრამისა.**

რგოლმა გადაწყვიტა წელს სეზონში მოკრიფოს 41.840 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ ნაცვლად წინათ ნაკისრი 35.000 კილოგრამისა, ხოლო რგოლისათვის მოსავლელად მიჩენილი 4,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 9 ტონადე ჩაის ფოთოლი. რგოლის წევრმა, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ლი წიფწიფაძემ პირობა დადო ყოველდღიურად მოკრიფოს შარშანდელთან შედარებით 15-20 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი.

კომუნისტური შრომის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ეს ახალი ინიციატივა განიხილა და მოიწონა საქართველოს კპ წულუკიძის რაიკომის ბიურომ და რჩევა მისცა რაიონის კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლებსა და მეჩაიეებს მიბაძონ იზოლდა წოწორნავას და მისი რგოლის შესანიშნავ თაოსნობას.

165.000 ტონა ჩაისათვის!

ᲡᲙᲝᲚᲐ-ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲔᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲐᲠ ᲐᲛᲔᲜᲬᲓᲔᲑᲐ

ინგლისის ცხოვრებაში ამუამად ყველა დიდმნიშვნელოვან სამუშაოთა შორის ერთ-ერთ სერიოზულ ადგილს იკავრს სასკოლო მშენებლობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ყოველდღიურ ყურადღებას იჩენენ სასკოლო მშენებლობის საკითხებისადმი.

ეს ბუნებრივიც არის: — დრო საშუარია. 1 სექტემბერი — ახალი სასწავლო წლის დაწყება ცხრა მთას იქით როდია. ასეულ ათასობით მოსწავლე, ათობით ათასი პედაგოგ-მასწავლებელი ახალი სასწავლო წლისათვის მოელის თანამედროვეობის მოთხოვნილებათა შესაბამისად ყოველმხრივ მოწყობილ სასკოლო შენობებს. ეს კი მტკიცდ დაძაბულ, ორგანიზებულ და ოპერატიულ მუშაობას მოითხოვს მშენებლებისაგან, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებისაგან, ყველა იმ საუწყებო დაწესებულებებისაგან, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ სასკოლო მშენებლობასთან, სკოლების კეთილმოწყობასთან.

ახლა, როცა დადგა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი, — არავის არა აქვს უფლება თუნდაც ერთი დღით შეანელოს მშენებლობის, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ტემპი.

სამწუხაროდ, დღეისათვის სასკოლო მშენებლობის მხრივ რესპუბლიკაში მეტად არასახარბიელო სურათი გვაქვს. მთლიანად რესპუბლიკაში განათლების სამინისტროს სკოლების მშენებლობაზე კაპიტალური დაბანდების ნახევარი წლის გეგმა 47 პროცენტით არის შესრულებული, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების — 52 პროცენტით, აქედან ექსპლოატაციაში გადასაცემი ობიექტების მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა — 61 პროცენტით. სასკოლო მშენებლობის გეგმა ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ ხაზით შესრულებულია 63 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროს ხაზით — 66, ხოლო კოლხიდმშენის სამმართველოს ხაზით — 4,4 პროცენტით (!).

დიდი ჩამორჩენა გვაქვს სკოლა-ინტერნატების მშენებლობის საქმეში. ეს შეეხება პირველ რიგში მშენებლობის ტემპებს. მშენებლები, ადგილობრივი ორგანოები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ დროზე არ იყო დაშვებული საპროექტო დოკუმენტაციები, ობიექტები დროზე არ იყო დაფინანსებული. ამან თავის მხრივ გამოიწვია მშენებლობათა დაგვიანებით დაწყება.

მაგალითად, ქალაქ ფოთის სკოლა-ინტერნატის მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია დიდი დაგვიანებით — აპრილ-ივნისში იქნა დაშვებული. ასევე იყო კალდახარისა (აფხაზეთის ასსრ) და სხვა სკოლა-ინტერნატების მშენებლობებზე.

მაგრამ ცხადია, მარტო ეს როდია ჩამორჩენის მიზეზი. კოლხიდმშენმა, რომელიც ფოთის სკოლა-ინტერნატს აშენებს, ვერ უზრუნველყო ობიექტი საჭირო ტექნიკით. არ არის ამწე, ბეტონსარევი, სხვადასხვა სახის რკინაბეტონის კონსტრუქციების დეტალები. ხე-ტყე, ყოველად გაუმართლებელია მშენებლობაზე მუშახელის ნაკლებობაც. კოლხიდმშენს სათანადო დახმარებას არ უწევენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისისა და ბათუმის სამშენებლო ტრესტები.

რა მდგომარეობაა ახლა ამ ობიექტზე, რომელიც გეგმით მესამე კვარტალში უნდა დამთავრდეს? — 161 ათასი მანეთის ნაცვლად 1 ივლისისათვის მხოლოდ 7,1 ათასი მანეთის სამუშაოები იყო შესრულებული. უფრო საგანგაშო დუშეთის სკოლა-ინტერნატის მშენებლობის მდგომარეობა. იგი გეგმით მესამე კვარტალში უნდა იქნეს საექსპლოატაციოდ გადაცემული. ნახევარი წლის გეგმა კი მხოლოდ 36 პროცენტით არის შესრულებული. სამხართულიანი სასწავლო კორპუსის მხოლოდ კედლებია ამოყვანილი, საძირეველ კორპუსს კი წლის ბოლომდე ვერ ამთავრებენ. ამ კორპუსის პროექტი აქ მაისში — დიდი დაგვიანებით მიიღეს, ხოლო საკანალიზაციო წესის გაყვანილობის პროექტები ჯერაც არ მიუღიათ. არ არის ხე-ტყე, კრამიტი და სხვა საშენი მასალები.

სასტიკად უნდა აღიკვეთოს სამშენებლო სამუშაოთა „შემდგომისთვის“ გადადების, მიწურულში იერიშობანის ჯერ კიდევ არსებული ტენდენციები.

ახლა უფრო დაძაბულად, ვიდრე ოდესმე. უნდა იმუშაონ სასკოლო მშენებლობათა დამხმარე კომისიებმა, აქტივმა. სასტიკი კონტროლი უნდა დაწესდეს მშენებლობებზე. სულ რაღაც თვენახევარი დარჩა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლა-ინტერნატები ახალი კონტინგენტით არის დასაკომპლექტებელი. მშენებლობის ასეთი შეფერხებების გამო მთელ რიგ სკოლა-ინტერნატებში საფრთხის წინაშე დგას სწავლის დროზე და ნორმალურად დაწყება.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო აშკარად არადამაკმაყოფილებლად შეუფასა სკოლების უმნიშვნელოვანეს ობიექტთა მშენებლობას. სამინისტროს შესაბამისი ტრესტები არაოპერატიულად მუშაობენ, უდარდელად ეკიდებიან საქმეს. მშენებლობები უზრუნველყოფილი არ არის საჭირო ტექნიკით — ექსკავატორებით, ბეტონსარევებით, ამწეებით, ხე-ტყით, რკინაბეტონის დეტალებით. თუ არა მშენებლობის სამინისტროს, ვის უნდა იზრუნა ამ საქმისათვის! საგურამოს (მცხეთის რაიონი), ახალქალაქის, თიანეთის, ქალაქ სტალინირის სკოლა-ინტერნატების მშენებლობებზე ნახევარი წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმის შესრულება არ აღემატება 65 პროცენტს. სტალინირის სკოლა-ინტერნატის მშენებლები უჩივიან სართულთა შორის გადახურვის ფილების, საარმატურო რკინის და სხვა მასალების უქონლობას.

აღნიშნული სკოლა-ინტერნატების მშენებლობათა ესოდენ საგანგაშო ჩამორჩენა პასუხისმგებლობას როდი ხსნის შესაბამისი რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. საყურადღებოა, რომ განსაკუთრებული ჩამორჩენა გვაქვს იმ ობიექტებზე, რომლებსაც რაიონული ორგანიზაციები აშენებენ. ამას ნათლად მეტყველებს რაისაბჭოს აღმასკომების ხაზით სკოლების მშენებლობის ნახევარი წლის გეგმის მხოლოდ 40 პროცენტით შესრულების ფაქტი! სამარცხვინოდ ჩამორჩებიან წყალტუბოს (ფარცხანაყანევი), ვანის (ყუმური), მესტიის, ბოგდანოვკისა და ახალციხის რაიონები.

უნდა გვესმას სკოლის მოახლოებული ზარის რეკვა. არც ერთი დღე უქმად არ უნდა იკარგებოდეს სკოლების მშენებლობაზე, უფრო მეტიც. მდგომარეობა მოითხოვს ორ და, შესაძლოა, სამ ცვლად მუშაობას, დანაკლისი საშენი მასალებითა და მუშახელით მშენებლობათა სახწრაფოდ უზრუნველყოფას.

პარტია გვავალებს: ყოველმხრივ მომზადებული შეეხვდეთ ახალ სასწავლო წელს სკოლებში.

ᲛᲐᲝ ᲫᲔ-ᲓᲣᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲙᲘᲛ ᲘᲠ ᲡᲔᲜᲡ

პეკინი, 13 ივლისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დღეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ხანჯოუში შეხვდა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს კიმ ირ სენს და გულითადი და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან. შეხვედრის შემდეგ მაო ძე-დუნმა დარბაზობა გამართა კიმ ირ სენისა და სხვა კორეელი საპატიო სტუმრების პატივსაცემად.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

კ. პოპოვიჩი საბჭოთა კავშირში

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ამა წლის 7-დან 13 ივლისამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსთან.

საუბრების მსვლელობაში დადასტურებული, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო იუგოსლავიას ეწვევა ამ დროს, რომელსაც ორივე მხარე დამატებით შეათანხმებს.

საუბრების მსვლელობაში, რომლებიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა ნორმალურად ვითარდება და რომ ძირითად საერთაშორისო საკითხებში მათი პოზიციები მსგავსია ან ერთმანეთს ემთხვევა. მათ იმედი გამოთქვეს, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საკითხებში კვლავაც წარმატებით განვითარდება.

კ. პოპოვიჩი და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ საჰაერო პარადს ტუშინოს აეროდრომზე, დაათვალიერეს ახალი საბინაო მშენებლობის რაიონები.

მომკილია შარშანდელზე ერთიორად მეტი

მოსკოვი, 12 ივლისი. (საკდესი). მიმდინარე წელს არაჩვეულებრივად სწრაფად გაიშალა პურეულის აღება. 10 ივლისისათვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე აიღეს 12 მილიონ 298 ათასი ჰექტარი პურეულის მოსავალი — ორჯერ მეტი, ვიდრე შარშან ამ ხანში.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲕᲐᲛᲔ ᲜᲙᲠᲣᲛᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

მოსკოვი, 13 ივლისი. (საკდესი). დღეს განის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის მეთაური დოქტორი კვამე ნკრუმა და მასთან ერთად ჩამოსული პირნი ეწვივნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

განის ხალხის წარმომადგენლები გაეცნენ მთავარი პავილიონის ექსპონატებს, პავილიონებს „სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას“, „მანქანათმშენებლობას“, „აზიისა სს რესპუბლიკას“, აგრეთვე მიჩურინეულ ბაღს. დოქტორმა კვამე ნკრუმამ და მისმა თანამგზავრებმა ირგვლივ კინოპანორამაში ნახეს დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულის გზა“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

მოსკოვი, 12 ივლისი. (საკდესი). დღეს ზუსტად სამი თვის შემდეგ, რაც განხორციელდა ისტორიაში უდიდესი მოვლენა — კოსმოსში ადამიანის გაფრენა, მოსკოვის კინოთეატრ „დამკვრელში“ გაიმართა პრემიერა ახალი ფერადი დოკუმენტური ფილმისა „პირველი რეისი ვარსკვლავებისაკენ“, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ადამიანების გრანდიოზულ გამარჯვებას.

მაყურებლებთან სტუმრად მოვიდნენ წარმომადგენლები დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიისა და მოსკოვის პოპულარული ფილმების სტუდიის შემოქმედებითი კოლექტივებისა, რომლებმაც შექმნეს ეს ამადელვებელი კინომოთხრობა. თუ როგორ იქმნებოდა ფილმი, დამსწრეთ მოუთხრეს სცენარის ერთ-ერთმა ავტორმა ე. ი. რიაბჩიკოვმა, რეჟისორებმა ი. პ. კოპალინმა და დ. ა. ბოგოლეპოვმა.

Ი. ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ლონდონი, 12 ივლისი. (საკდესი). მაიორი ი. ა. გაგარინი ლონდონში დაბრუნდა ინგლისის უდიდესი სამგზავრო ცენტრიდან ქალაქ მანჩესტერიდან, სადაც მოსახლეობამ მას აღტაცებული მიღება მოუწყო.

ლონდონი, 13 ივლისი. (საკდესი). დღეს ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. მაკმილანმა მიიღო პირველი კოსმონავტი-მაიორი ი. ა. გაგარინი.



„მინდვრის დედოფლის“ დიდი მეგობარი

წვიმს, მოხსნა პირი ზეცამ. წვიმს... წვიმს... გადმოვიდა ეზოდან კოსტა ჯოჯუა, მაგრამ ვაი ამნაირ გადმოსვლას. გეგონებოდათ ზედ გულზე აწვიმდა. ეს ორი კვირაა, ორი დღე თუ იპატივა ამინდმა, თორემ გადაულებლად წვიმს... გუშინ სტუმრები ჰყავდა, ყანა უქეს, აწი უამინდობა ამას ვერაფერს დააკლებსო.

გაგიხარიათ ყანა კარგი იყოს, ცხენიანი კაცი ისე ჩაიმალება შიგ, რომ გზას ვერ გაიკვლევს, ღიღლა ულვაშა ტარო რძეს იდგამს მარცვალში და ღონიერდება, სიმინდს კენწერო ზეცაში აუყრია, სატევრის პირივით ფართო და ნალესი, ხასხასა მწვანე ფოთოლი გაუშლია და შრიალებს.

ავ თვალს არ ენახვებაო რომ იტყვიან ჩვენში, სწორედ ამაზე, ითქმის, მაგრამ ეს დაუსრულებელი წვიმა...

კოსტამ ბოღმით ახედა ზეცას.

— ეს არის ახლა საქმე?.. კი, ვერაფერს დაგვაკლებს, მაგრამ... რატომ შობა ახლა ამას, ვითომ რაო!.. ვიწვიმებ და წაგლეკავთო, თუ რა მინდაო... იმის ოჯახი დეიწვა, ვინც ის თქვას, ღმერთს სამართალი აქვსო... — გული მოუვიდა კოსტას და თითქმის ხმამაღლა შესძახა — ეს არის, კაცო, სამართალი?

— ბაბა, ყანაში მიხვალ?

— მივალ, შენი ჭირიმე! — მოულბა ვაჟკაცი თითის ხელა გოგოს, უზარმაზარ ჩანთას რომ მოათრევდა სიმწრით, გაეცინა კოსტას, სველი ბატის ჭუკივით გოგომ რომ გადურბინა, და გაასწრო.

ფიქრის ძაფი გადაბა ისევ: ან რა მინდა ახლა ყანაში... ისე, შევათვალიერებ მაინც... პატარა დოდომ სკოლის დირექტორი აპოლონ მირცხულავა მოაგონა, გულისხმიერი, საქმიანი კაცი, — ყანას დავხედავ და სკოლაში გავალ, ბავშვების ამბავს ვიკითხავ, — გადაწყვიტა ოთხი შვილის მამამ.

ახალგაზრდაა კოსტა ჯოჯუა, ასე ოცდაჩვიდმეტი, ოცდათრამეტი წლის, ბრგე ვაჟკაცი. უყვარს მიწა, მიწაზე როგორც ცოცხალ არსებაზე ისე ლაპარაკობს: — წყალი უყვარს, მზეს ნატრულობს, გული გახსნა...

ამ სოფლის მკვიდრია, აქ დაბადებულა მისი მამა-პაპაც, კოლხეთის ჭაობში, ცხელებასა და სიოტაკეს ებრძოდა მისი წინაპარი.

— „მინდვრის დედოფალზეა“ შეყვარებულიო! — ხუმრობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე კალისტრატე ლებსაია.— თავისებური კაცია ჩვენი კოსტა, ჩემს ყანას ტოლი არ უნდა ჰყავდესო, ამბობს. განსაკუთრებით მას შემდეგ გამოჩნდა მისი შრომა, რაც ნაკვეთი მოსავლად აიღო.

ხობისწყლის პირას, ჭალაში კოსტამ ორი ჰექტარი ნაკვეთი აიღო. და ნაკვეთს ალარ მოსცილებია. პირველ ხვნამდე სასუქი და მდინარის შლამი შეიტანა, მეორე ხვნის დროს ფოსფოროვანი სასუქი, თვითონ მოხნა.

კოლხიდის პირობებში მწკრივებს შუა მანძილი უნდა შემცირდეს, 60-70 სანტიმეტრი ბევრია, 40-50 თავისუფლად ყოფნისო, ფიცულობს კოსტა. — ნახეთ, ბატონო, ჩემი ყანა!— დასძენს იგი და ამ თავმდაბალი კაცის თვალებში სიამაყის ნაპერწკალი იელვებს წუთით.

— მე ჩემებური „მექანიზაციაც“ მაქვს, — ამბობს კოსტა სიცილით. —ერთი ძველი კავი მქონდა, მას ხის ფრთები გავუკეთე და მწკრივად დარგულ სიმინდს შუა ჩავატარე, კავმა მიწა არხისებურად გაჭრა, მიწამ სიმინდის ძირში მოიყარა თავი. ასე რომ ყოველ მწკრივში წყალსადენი არხი შეიქმნა.

ლაპარაკობს კოსტა თავის საქმიანობაზე და საგანგებოს თითქოს არაფერს გვეუბნება. არც ახალია არაფერი, არც საიდუმლო. შრომა თქვი, საქმის სიყვარული, თორემ რა აქვს ამ კაცს საგანგებო!

ავი ენის კაცს რა დალევს სოფელში, ყოველთვის მოიძებნება ენამწარე და კვიმატი. თავის დროზე კოსტას საქმიანობასაც გამოუჩნდნენ სკეპტიკოსები, ჩააწვეთეს:

—ჰექტარზე საშუალოდ 100 ცენტნერს მიიღებს, ამდენი მოსავლისათვის პრემიას არ მოგცემენ!

დადგა შემოდგომა. სკოლის დირექტორს სთხოვა მოწაფეები დამახმარეო. მოვიდნენ ახალგაზრდები, და გაჩაღდა „ნადური“. დახვავდა მოსავალი. კოსტა ჯოჯუას. შრომადღეებს გარდა, 200 ცენტნერი მოსავლიდან შვიდ ნახევარი ტონა სიმინდის მარცვალი მარტო პრემიად ერგო.

სოფელი ალაპარაკდა: ამოდენა პრემია-დანამატი ჩვენში ჯერ არავის ჰქონიაო. საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენო—ტყუილად არ არის ნათქვამი. კოსტას მიმდევრები გაუჩნდნენ—პართენ, ნიტრიფო, ლავრენტი, სევერიან ყურუები, ვარდენ და ჯემალ მურდულიები. ახლა კოსტას სამი ჰექტარი აქვს მოსავლელად ჩაბარებული და ჰექტარზე 150 ცენტნერ სიმინდს ელოდება.

— მეზობლებო, — ასე დაიწყო მან სიტყვა კოლმეურნეობის კრებაზე, — ყველა თქვენგანს შეუძლია ასეთი მოსავლის მიღება, შეეჯიბროთ ერთმანეთს, მიწა ერთნაირი გვაქვს და მკლავი, საქმე მონდომებაა და ვნახოთ, ვინ ვის...

შრომამ მასახელა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე რომ ვიყავი, ამ ზღვა ხალხში რომ გავერიე და თავი მოვიწონე, ჩუმად ვკითხე ჩემს თავს, კოსტა, ეს შენ ხარ ამ დაფასებულ ხალხში-მეთქი და თვითონვე გავეცი პასუხი: მეკუთვნის, ძმაო, მეკუთვნის, ვთქვი, და... დაკოჭრილ ხელებზე დავიხედე.

...იმ დღეს კრება ბრიგადების საქმიანობაზე და მეორე თოხნის დამთავრებაზე ჰქონდათ.

...გვიან ღამე იყო, კოლმეურნეობის კანტორის ეზოდან რომ გამოვიდნენ.

მეზობლები ნელა მოჰყვებოდნენ შარას.

ჩრდილოეთის ვარსკვლავი უფრო მკვეთრად ჩანდა. ბღუჯა-ბღუჯა ციმციმებდნენ ვარსკვლავები...

გამოიდარა... დიდი ხანია კოლხეთში სამუდამოდ გამოიდარა....

რ. დვალიშვილი,
ხობი, სოფელი შუა ხორგა.

• • •

სურათზე: *კ. ჯოჯუა თავისი ოჯახის წევრებთან.*

ფოტო ბ. დადვაძისა.

„მინდვრის დედოფლის“ დიდი მეგობარი

სახლეგი შენდეგ, მაგრამ ხარისხი?!

მხრეგი გაშალა თბილისმა, დედაქალაქს შეემატა ახალი ქუჩები, მოედნები...

მარტო უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში მთლიანად იცვალა სახე ქალაქის განაპირა უბნებმა. ოდესღაც ხროკი ადგილები დაფარულია შენობებით, ბაღებითა და გაზონებით.

აეღოთ გადაღმა ნავთლუღი. ქალაქის ეს განაპირა რაიონი მთლიანად დაუსახლებელი იყო. აქ მშენებლობა 1958 წელს დაიწყო. და აი ორი წლის განმავლობაში აშენდა 50-ზე მეტი მრავალსართულიანი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 75 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. ასეთი დიდი მასშტაბის მშენებლობა არ ახსოვს დედაქალაქს. ნამდვილად სრულდება საყოველთაოდ ცნობილი დევიზი: ვაშენოთ სწრაფად და იაფად. მაგრამ გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ დევიზის მესამე მხარის—მაღალხარისხოვანი მშენებლობის შესახებ, — კარგს ბევრს ვერ ვიტყვით. ამ საქმეში ყველაფერი როდია რიგზე.

რედაქციას ყოველდღიურად მოსდის საჩივრები უხარისხოდ აშენებული საცხოვრებელი სახლების შესახებ. ბევრი მათგანი მართლაც ყურადსაღებია.

...მეექვსე სამშენებლო სამმართველოში (უფროსი გ. ‘თვალავაძე, მთავარი ინჟინერი შ. ნათენაძე) ვართ.

— როგორ ასრულებთ სამშენებლო გეგმებს? — შევეკითხეთ მთავარ ინჟინერს.

— მე ახალი კაცი ვარ, ჩანაწერები არა მაქვს, ახლავე მგეგმავ ეკონომისტს გამოვუძახებ და ყველა ცნობას მოგართმევთ, — იყო პასუხი.

მშენებლობის გეგმის შესრულება ასეთ სურათს იძლევა: პირველ კვარტალში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 9.593 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სინამდვილეში არც ერთი მეტრი არ ჩაუბარებიათ.

ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ მოხდა ეს, გვიპასუხეს:

— შუდამ ხარისხზე გვედავებიან. ამიტომ გავაჩერეთ, უფრო მეტი კონტროლი დავაწესეთ, დეფექტები შევასწორეთ...

გამოირკვა, რომ სამმართველომ წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადასცეს 36.789 კვადრატული მეტრი ფართობი. როგორც ზემოთ ვთქვით, პირველ კვარტალში არაფერი ჩაუბარებიათ, მეორე კვარტალში მშენებლებმა დაპირება შეასრულეს, დაფარეს პირველი კვარტალის გარღვევა და ივნისის ბოლოსათვის დამატებით გადასცეს საექსპლოატაციოდ 10 სახლი 12.400 კვადრატული მეტრის ფართობით. ამით მშენებლებმა ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მაგრამ ხარისხი?

ცხადია, როცა მუშაობაში ადგილი აქვს იერიშობანას, ხარისხი ყოველთვის მოიკოჭლებს.

ახალი საცხოვრებელი სახლების ავკარგიანობის შემოწმების მიზნით დავათვალიერეთ ერთი წლის წინათ და ახლახან საექსპლოატაციოდ გადაცემული კორპუსები.

არა. ეს წვრილმანი როდია!

ვეწვიეთ მესამე კვარტალის მეთერთმეტე კორპუსს (სამუშაოთა მწარმოებელი გ. ზაკაიძე), დავათვალიერეთ ლ. ზქარიაის, მ. გერმანოზაშვილის, გ. სულხანიშვილის და სხვათა ბინები. ყველგან ერთნაირი მდგომარეობა იყო. წვრილმანებს რომ თავი დავანებოთ, ოთახებში პარკეტი ოღრონოღროდ არის დაგებული, ალავ-ალაგ მთლიანად ამოყრილია, კარ-ფანჯრებში 2-3 სანტიმეტრი სიგანის ღრეჩოებია დარჩენილი. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა პ. ბარდინინის ბინაში. პარკეტი მთლიანად ამოყრილია, სამზარეულოში ლინოლეუმი დაგებულია მოუსწორებელ ზედაპირზე. ლინოლეუმი უსწორმასწორო ადგილებში ჩაზნექილა, წარმოშობილია ორმოები, მშენებლებმა ყველაფერს შეიძლება გამართლება მოუძებნონ, მაგრამ რას იტყვიან, რით გაიმართლებენ თავს ნუთუ არ ეშოვებოდათ ოთხი კვადრატული მეტრი ფართობის მოსასწორებლად ცემენტი, ან სხვა მასალა, აქ აშკარა დაუდევრობაა, სხვა შეფასება არ შეიძლება.

დავათვალიერეთ მთელი კორპუსი. ხარისხიანად გაკეთებული ვერაფერი ვნახეთ. მობინადრენი იმდენ სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ყურს არ გაეგონებოდა, ყველა უხეიროდ გაკეთებული თვალს არ დაეხახვეზოდა.

ეს კორპუსი ერთი წლის წინათ გადაუცია საექსპლოატაციოდ. ვფიქრობთ, ამ უკმაყოფილების შემდეგ მშენებლები დასკვნას გაკეთებენ.

ი ერთი და ორი თვის წინათ საექსპლოატაციოდ გადაცემული კორპუსებიც, მობინადრეთა შესასახლებლად გამზადებული ახალი შენობებიც.

მეოთხე კვარტალის მეორე კორპუსში (სამუშაოთა მწარმოებელი რ. გოგილაშვილი) ვნახეთ რამდენიმე ბინა.

მობინადრეებმა ვ. ჯიოეკმა და გ. ტაბატაძემ გვითხრეს: ჩასახლების პირველი დღიდანვე პარკეტი იმდენად უსწორმასწოროდ იყო დაგებული, რომ სიარული შეუძლებელი იყო, თვითეულმა 400 მანეთი გადავიხადეთ შეკეთებაში, მაგრამ, როგორც ხედავთ, საქმეს მაინც არ ეშველა. აი, ალაგ-ალაგ კიდევ ამოცვივდა. კარ-ფანჯრები ხომ ყველგან დაბრეცილია, თუ დახურე, ვეღარ გააღებ, და თუ გააღე, ვეღარ დახურავ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება ფანჯარაში ერთი მინის ნაცვლად სამი ნაპერი ჩასვან, მერე როგორ? დარჩენილ ღრეჩოებში ხელს თავისუფლად გაატარებ. საგანგებოდ რომ მოინდომოს კაცმა, ელექტროშუქის ჩამრთველებს ისე ვერ მოშლის, როგორც ეს ჩვენს ბინებშია. ამას ყველა ასე უჩივის.

პატარა ნაკლოვანებებს შევურიგდებით, არაფერს ვიტყვით, თვითონ შევაკეთებთ, მაგრამ როცა ყველაფერი თავიდან გასაკეთებელია და ჩვენს ძალებს აღემატება, იძულებული ვართ ყველაფერი ვთქვათ და ვუსაყვედუროთ ჩვენს მშენებლებსო.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ყველა კორპუსში. დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არსად არ არის დადგმული აბაზანები. ამ შემთხვევაში მშენებლებს ვერ ვუსაყვედურებთ, მათ აბაზანები არა აქვთ. ეს საგეგმო და სხვა ორგანიზაციის ბრალია.

არც შეოთხე კვარტალის მეათე კორპუსში (სამუშაოთა მწარმოებელი დ. ელიავიანი), პირველ კორპუსში (სამუშაოთა მწარმოებელი ა. დადუნაშვილი), მეშვიდე კვარტალის მესამე კორპუსში (სამუშაოთა მწარმოებელი კ. ერუსიშვილი). მეოთხე კორპუსში (სამუშაოთა მწარმოებელი ნ. ნოზაძე) აღმოჩნდა ყველაფერი რიგზე. აბაზანები არსად არ არის დადგმული, კარ-ფანჯრები თითქმის ყველგან დაბრეცილია, არის ღრეჩოები, ზოგიერთ ფანჯარაში ერთი მინის ნაცვლად სამ-სამი ნაპერია ჩასმული, კედლები შეღებილია უვარგისი საღებავით. ოდნავ მიჯარებთ საღებავი გადადის, ისევდაც მრავალფრად აპრელებულ კედლებს კიდევ ახალი ფერი ემატება და სრულიად შეუხედავს ხდის ოთახს.

ამ შემთხვევაში მშენებლები თავს ვერ გამამართლებენ. განა შემწეობავი მასალის ასეთ ნაკლოვანებას გამვიცდით რომ ასე უხარისხოდ შეეღებოთ კედლებიო?!

ახალ კორპუსებში მშენებლებს შეუარებით უკეთესად დაუვიათ პარკეტი. მაგრამ კუთხემოტეხილი პარკეტების შეკეთება უწარმოებიათ რაღაც უცნაური მასით, რომელიც დიდად განსხვავდება პარკეტის ფერისაგან, ეს კი იატაკს სილამაზეს უკარგავს. ალაგ-ალაგ ისიც ამოცვივნულია, კარგ ხარისხზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

არავინ იფიქროს, თითქოს მარტო ნაკლოვანი მხარეების აღნიშვნით ვიყოთ დაინტერესებული. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მშენებლებს ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი აქვთ. ხშირად უხარისხო მასალებს იღებენ და ამასაც არარეგულარულად, ეს იწვევს იერიშობანას, რაც ძალზე ცუდად მოქმედებს ხარისხზე.

როცა მშენებლობის ხარისხზე ვლაპარაკობთ, გვინდა ერთ საკითხს მივაქციოთ ყურადღება. კედლებს აშენებს და გადახურავს აწარმოებს მე-6 სამშენებლო სამმართველო (უფროსი გ. თვალავაძე), შიგნით სამუშაოებს ასრულებს მესამე სამშენებლო სამმართველო (უფროსი ა. გოგაძე), ხოლო სანიტარულ-ტექნიკური კეთილმოწყობის გაყვანილობასა და მონტაჟს აწარმოებს ცალკე სამმართველო (უფროსი ბ. გალუბკოვი). ხარისხისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს მეექვსე სამმართველოს. აწყობილი მუშაობისათვის ეს ინსტანციები შეიძლება საჯირო არ იყოს.

ნავთლუღის მესამე მასივის მცხოვრებლებს კიდევ უფრო სერიოზული პრეტენზიები აქვთ თბილისის საპკოს აღმასკომისადმი. მასივში დღეისათვის 10 ათასამდე მცხოვრებია. რას ფიქრობდნენ აღმასკომში, როცა აქ თითქმის მთელი ქალაქი გაშენდა და არც ერთი კომუნალური მომსახურების ობიექტი არ არის აშენებული, არც ერთ საცხოვრებელ კვარტალში არ არის გათვალისწინებული სასურსათო და სამრეწველო მაღაზიისათვის საჭირო სათანადო ფართობი. უკვე გაშენებულ კვარტალებში ვერ იპოვით თავისუფალ ადგილს მაღაზიებისათვის შესაფერისი შენობის ასაგებად.

10 ათასი მცხოვრებისათვის მასასვლელში გახსნილია მხოლოდ ერთი პუნქტი, ერთი სამრეწველო და ერთი სასურსათო საქონლის გასაყიდი პატარა ფარდული. ისინი სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას. აქ მცხოვრებ ადამიანებს კილომეტრების გავლა უხდებათ პირველი მოთხოვნილების საგნების შესაძენად.

ყველა ნაკლებობას გაუძლებს ადამიანი, მაგრამ უწყლობას, ისიც ზაფხულში, ვერ მოითმენს. ნუთუ არ შეუძლიათ წყალი გრაფიკით მაინც განაწილონ, რომ კილომეტრებიდან ვედროებით არა ზიდონ.

არა, ეს წვრილმანები როდია. ყოველივე ეს მძიმე გასაჭირში აყენებს ადამიანებს, რომლებსაც სახელმწიფო უსასყიდოდ მისცა ახალი ბინები.

ზ. ჯამასპიშვილი.
შ. ციბეკიძე.

საშიში ერთიანობა

ბერლინი, 12 ივლისი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ბერლინში გაიმართა სენატის სპეციალური სხდომა, რომელსაც დაესწრნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი და ბონელი მინისტრი ლემერი. სხდომაზე კანცლერმა ადენაუერმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და დასავლეთ ბერლინის საკითხზე.

სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ბონის მთავრობასა და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის „არსებობს შეხედულებათა სრული ერთიანობა ბერლინის საკითხზე“. როგორც კომუნიკედან ჩანს, ამ „ერთიანობას“ საფუძვლად უდევს კანცლერ ადენაუერისა და დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრის ბრანდტის ანტიეროვნული პოზიცია, რომლებიც ხელმძღვანელობენ სურვილით შეინარჩუნონ დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში.

და ეს სდგება „თავისუფალ“ ამერიკაში

ნიუ-იორკი, 12 ივლისი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში აკრედიტებული აფრიკელი დიპლომატები კვლავ განცდიან რასობრივ დისკრიმინაციას.

ნიუ-იორკიდან ვაშინგტონს მიემგზავრებოდა ჩადის რესპუბლიკის ელჩი ა. მ. სოვი, რათა თავისი რწმუნების სიგელები გადაეცა პრეზიდენტ კენედისათვის. გზაში იგი შევიდა მერილენდის შტატის ერთ-ერთ რესტორანში. მას უარი უთხრეს მომსახურებაზე იმ „საბაბით“, რომ ზანგია. საქმეს არ უშველია ახსნა-განმარტებამ, რომ იგი უცხოელი დიპლომატია. ელჩი მაინც აიძულეს დაეტოვებინა რესტორანი.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ანალოგიური შეურაცხყოფა მიაყენეს მერილენდის შტატში აგრეთვე სამ სხვა აფრიკელ დიპლომატს.

დარბაზობა საბჭოთა კავშირის ლონდონის სამრეწველო გამოფენის გამო

ლონდონი, 13 ივლისი. (საკდესი). გუშინ „ერლს კორტ ლიმიტედის“ კომპანიის დიოეციამ, რომელსაც ეკუთვნის შენობა, სადაც მოთავსებულია საბჭოთა სამრეწველო გამოფენა, დიდი დარბაზობა გამართა საბჭოთა კავშირის ლონდონის გამოფენის გახსნის გამო.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ა. ა. სოლდატოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ. ა. ბორისოვი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ვ. ნესტეროვი.

დარბაზობას საპატიო სტუმრად ესწრებოდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი მაიორი ი. ა. გაგარინი.



მაკმილანი: *ყოველ შემთხვევაში, კარგია, რომ იმ პრემიერ-მინისტრთაგან, რომლებიც კი ჩვენ გვყოლია, მე ყველაზე მტკიცედ ვდგავარ!*

ნახატი კამინგსისა. ინგლისურ გაზეთ „დეილი ექსპრესიდან“.

ტელეგრაფი გვატყობინებს

△ პოინტ-არგელოს (კალიფორნიის შტატი) საცდელი ცენტრიდან რაკეტა „ატლასის“ დამბარებით გაშვებულია 1585 კილოგრამი წონის თანამგზავრი „ბიდას-III“. გაშვების ორი საათის შემდეგ გამოაცხადეს, რომ თანამგზავრი გავიდა 2720 კილომეტრი სიმაღლის ორბიტაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადის.

ამერიკის პრესა ამ თანამგზავრს უწოდებს „ჯაშუშს ცაში“.

თანამგზავრ „მიდასის“ ორბიტაზე გაშვების ორი წინანდელი ცდა, რაც 1960 წელს განხორციელდა, მარცხით დამთავრდა.

△ ტანგანიკის პრემიერ-მინისტრმა ნიერერემ მოითხოვა ტანგანიკიდან გაძევებულ იქნას ყველა პორტუგალიელი ოფიციალური პირი ნიშნად პროტესტისა ანგოლაში პორტუგალიელ კოლონიზატორთა მხეცობის წინააღმდეგ. ნიერერემ ინგლისის კოლონიების მინისტრს მაკლეოდს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვს დარ-ეს-სალამში, ტანგანიკის დედაქალაქში, დაიხუროს პორტუგალიის საკონსულო.

△ სამი დღის ვიზიტად ბონში ჩავიდა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ფუში და სამხრეთ-აფრიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი გრობელაარი. ისინი გამართავენ მოლაპარაკებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში.

△ **სამხრეთ კორეაში რამდენიმე დღეღამეა განუწყვეტლივ წვიმს, რაც იწვევს წყალდიდობას. როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს სეულელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ დიდი წყალსაცავის კაშხალის გარღვევის შედეგად წალეკილია ორი სოფელი ქალაქ ნამვონის რაიონში. დაიღუპა 114-მდე კაცი.**

უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში წყლის მძლავრმა ნაკადმა წალეკა 220 და დაანგრია 208 სახლი.

პანგერმანელი რევანშისტები

რომი, 12 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ა. *კრასიკოვი* იუწყება: ზედიზედ რამდენიმე მძლავრმა აფეთქებამ დაარღვია გუშინ ღამის მყუდროება იტალია-შვეიცარიის სახღვრის რაიონში. მალე ცნობილი გახდა, რომ აფეთქეს ენერგოკვანის ბოძები ყველა რკინგზის ხაზზე ამ რაიონში. მატარებლების მოძრაობა რამდენიმე საათით შეწყდა.

დივერსიული აქტების ინიციატორები მათ მიერ გავრცელებულ ფურცლებში თავის თავს უწოდებენ „სამხრეთ ტიროლის თავისუფლებისათვის მებრძოლ კომიტეტს“. როგორც ცნობილია, სამხრეთი ტიროლი (იტალიური სახელწოდება — ალტო-ადიჯე, *კორესპ. შენიშვნა*). პირველ მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოაშორეს ავსტრიას და გადასცეს იტალიას, ამასთან მის ტერიტორიაზე საერძნობი რაოდენობით დარჩნენ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ადგილობრივი მოქალაქენი. რამდენიმე ხნის წინათ ავსტრიამ ბრალად დადო იტალიას, რომ არ ასრულებს ვალდებულებებს ამ უმცირესობისათვის ეროვნული ავტონომიის მინიჭების შესახებ. სანამ ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის წარმოება მოლაპარაკება ალტო-ადიჯეს პრობლემის გადაჭრის შესახებ, ამ ოლქის ტერიტორიაზე გააქტიურდა არალეგალური პანგერმანული რევანშისტული ორგანიზაციების საქმიანობა, რომელთა რიცხვს ეკუთვნის „კომიტეტი“, რომელმაც მოაწყო დივერსიული აქტების მთელი სერია.

იტალიის მთავრობამ, რომელიც იტალია-შვეიცარიის საზღვარზე ახალი დივერსიების შემდეგ რამდენიმე საათში შეიკრიბა სასწრაფო სხდომაზე, გადაწყვიტა საპროტესტო ნოტა გაეგზავნა ავსტრიისათვის. ამავე დროს, მთელი ადგილობრივი ბრესა აღნიშნავს დღეს, რომ ტერორისტული ბანდების სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები უნდა ეძიონ დასავლეთ გერმანიაში.

გაზეთმა „ავანტიმ“ გამოაქვეყნა მთელი სერია მასალებისა, რომლებიც დოკუმენტალურად ადასტურებენ სამხრეთ-ტიროლელი დივერსანტების კავშირის რევანშისტულ ორგანიზაციებთან, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედებენ და ყოველ მცირე შესაძლებლობასაც კი იყენებენ რევანშისტული განწყობილების გაღვივებისათვის. ტერორისტების საზღვარგარეთელ მთავარეთა რეკანშისტულ და ფაშისტურ განწყობილებაზე დღეს წერენ ისეთი გაზეთებიც კი, როგორც „მესაჯერო“ და „ტემპო“, რომლებიც ჩვეულებრივ ემხრობიან იტალიისა და დასავლეთ გერმანიის „ძმობას“.

დასავლეთი ბერლინი. 12 ივლისი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ბერლინში ორი დღის ვიზიტად ამერიკის სპეციალური სამხედრო თვითმფრინავით ჩამოვიდა ბონის კანცლერი ადენაუერი. ჩამოსვლისთანავე ადენაუერმა განაცხადა, რომ თავისი ვიზიტით იგი აპირებს ხაზი გაუსვას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მჭიდრო კავშირს დასავლეთ ბერლინთან.

„სახიფათო ვიზიტი“

ადენაუერის ვიზიტს აშკარად დემონსტრაციული ხასიათი აქვს და მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას. სწორედ ასე აფასებს მას დასავლეთ ბერლინის დემოკრატიული პრესა, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ეს ვიზიტი დაკავშირებულია ბონის ცდებთან კიდევ უფრო გამწვავოს პოლიტიკური ატმოსფერო. გაზეთი „დი ვარჰაიტი“ აცხადებს, რომ ბონის მმართველთა ამგვარი მოგზაურობანი ერთხელ კიდევ ადასტურებენ არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც დასავლეთ ბერლინში შეიქმნა. სარედაქციო სტატიაში, რომლის სათაურია „სახიფათო ვიზიტი“, გაზეთი ეხება ადენაუერის ამასწინანდელ გამოსვლას მიუნხენში, სადაც მან კვლავ გაილაშქრა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის წინააღმდეგ.

„ამით ადენაუერმა, — წერს გაზეთი, — ხაზი გაუსვა თავის განზრახვას განაგრძოს ცივი ომის სამში კურსი და საერთაშორისო პროვოკაციების პოლიტიკა... მაგრამ ჩვენ, დასავლეთბერლინელებს, გვსურს ვიცხოვროთ მშვიდობისა და მყუდროების ვითარებაში. დადგა დრო ბოლო მოეღოს ბონელი კანცლერის საშიშ რევანშისტულ პოლიტიკას. დასავლეთ ბერლინი ალარ უნდა იყოს სათამაშო სამხედრო ავანტიურების მომხრეთა ხელში. მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესები მოითხოვს, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიღწეულ იქნეს შეთანხმება ჩვენი ქალაქის მტკიცე სტატუსის შესახებ, რომელიც გარანტირებული იქნება საერთაშორისო საფუძველზე“.

„დი ვარჰაიტი“ ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა შეიქმნას „ნეიტრალური და დამოუკიდებელი თავისუფალი ქალაქი დასავლეთი ბერლინი“.

ბერლინი

ბერლინი, 12 ივლისი. (საკდესი). დღეს დასავლეთ ბერლინში გაიმართა სენატის სპეციალური სხდომა, რომელსაც დაესწრნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი და ბონელი მინისტრი ლემერი. სხდომაზე კანცლერმა ადენაუერმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და დასავლეთ ბერლინის საკითხზე.

სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ბონის მთავრობასა და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის „არსებობს შეხედულებათა სრული ერთიანობა ბერლინის საკითხზე“. როგორც კომუნიკედან ჩანს, ამ „ერთიანობას“ საფუძვლად უდევს კანცლერ ადენაუერისა და დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრის ბრანდტის ანტიეროვნული პოზიცია, რომლებიც ხელმძღვანელობენ სურვილით შეინარჩუნონ დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში.

,,ეკონომიკური ბანკი“

ტუნისი, 13 ივლისი. (საკდესი). ტუნისში ყოველ მხრიდან ჭიდს ცნობები იმის შესახებ, რომ კვლავ იმართება საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები საფრანგეთის ჯარების ყოფნის წინააღმდეგ ტუნისის ტერიტორიაზე. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, მდგომარეობა ბიზერტაში სულ უფრო დაძაბული ხდება. აქ „ინციდენტები შეიძლება წარმოშვას ის შემთხვევაშიც კი, რომ არც ტუნისის, არც საფრანგეთის ხელისუფლებმა რაიმე ბრძანება არ გასცენ საამისოდ“, — წერს „ლა პრესი“.

დე გოლის სიტყვა

ალჟირი, 13 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული ეკონომიკური ბანკის ალჟირის ფილიალის ბანკიერ-ფინანსური ოპერაციების ინსპექტორ ალ. ბენ-ბეკერ ალ-ბეკერ ალ-ბეკერ ალ

ვაჟა-ჩვენი სიამაყე

ამ გვერდში მოთავსებული ვაჟა-ფშაველას ლექსები, მოთხრობა და წერილი

ქვეყნდება პირველად

* * *

ანკარა წყარო მთიდანა
ეშურებოდა ბარადა —
გადადიოდა ლოდებზე
წვრილ მარგალიტის თვალადა.
თან ამას მოიმღეროდა,
ვით საპატარძლო ქალია:
— ნეტავ სულ ია-ვარდს ვრწყავდე,
იმდენი მომცა ძალია...
ნეტავ არავინ მამღვრევდეს,
არა მქელავდნენ ღორები,
რაც ღმერთმა მომცა ბუნება,
იმას ნუმც გავეშორები.

1903 წ.



დედა მიყვარდა

(სიმღერა)

ბავშვობაშიაც დედა მიყვარდა,
სულ ის მინდოდა გვერდით მყოლოდა.
ერთს წამს მის ჩემგან მოშორებასა
მე ვგრძნობდი გაყრად საბოლოოდ.
მივსდევდი თანა და მოვტიროდი,
თვალთაგან ცხარე ცრემლი მდიოდა.
ოღონც მშობელი თვალით მენახა, —
მაძღარი ვიყავ, როცა მშიოდა,
განა მარტო მე? — „დედა მინდაო“,
ყველა თქვენგანიც ამას ჰკიოდა;
როცა კი დედას ვერა ჰხედავდა,
ჩემსავით სხვებსაც გული სტკიოდა.
თვალს რო მოვკრავდი — მზე ამოვიდის,
წავიდის სადმე — მზეც ჩაესვენის.
შავი ნაღველი, გულის მჩაგვრელი,
ნისლად და ლოდად გულს დამესვენის.
ის ხმა მომიკვდა და მის მაგივრად, —
როგორ გგონიათ? — სხვა დედა დამრჩა,
ეს უფროც მიყვარს, ვიდრე პირველი
და ის სიყრმისა გრძნობებიც შამრჩა.
თუმცა აღარ ვარ ეხლა ყმაწვილი
და ჟამთა დენამ თეთრად დამთოვნა,
მაინც მას ვტირი: „დედა მინდაო,
დედა მაჩვენეთ“, — არს ჩემი თხოვნა.

1902 წ.

◇ ◇ ◇

გულზე წყლულები გამრავლდა,
თავში ფიქრები ღელავენ;
ზოგებს ჩაუცვამ შავები,
ზოგნი ისევა ელავენ,
ლაფიანს სინამდვილესა
ია-ვარდითა ჰფერავენ,
დაფლეთილს ობლის კაბასა
ფერად ნაჭრებით ჰკერავენ...
მიყვარს ნათელი ფიქრები,
არ მტანჯვენ, არა მთელავენ.
მტირალო შავო ფიქრებო,
არ მამწონ თქვენი გოდება.
დამწვარს და გაოხრებულსა
ცრემლის-ღა მინდა მოდება?!
უსასოებას მიმოძღვრებთ,
ცოცხალს სულსა, მხდით ძალადა.

ჯერ ცოცხალი ვარ ისევა —
ძალ-ღონეცა მაქვს მრავლადა.
მომესიენით, წყეულნო,
რა მნახეთ გავხდი ავადა?
დღეს ავადმყოფი, არ უწყით,
ხვალ შევიქნები კარგადა!
მოგიგდებინებთ, არ გზიდავთ
უსიამოვნო ბარგადა.
შორს ჩემგან, შავო ფიქრებო,
გამშორდით, დაიკარგენით!
იმათ ეწვიეთ, ქვეყანას
ვინც სტანჯავს ავის ჩადენით.
თქვენ ჩემთან ხელი არა გაქვთ, —
შემოსილი ვარ ნათელით.

1906 წ.

მხატვარი **ირ. თოიძე.**

ძადლობელი ვარ, დამბადებელო,
ჩემიდან შეჰქმენ ისეთი გუნდა,
როგორიც ამ დღეს საჭირო არი,
სამშობლოს წულულებს როგორიც უნდა,
ეკლებზე ვწევარ, არაფერს ვიმჩნევ,
მაინც ღმერთს ვმადლობ, — ეშმაკს შეჰშურდა.

ვაჟა-ფშაველა

(საახალწლო სცენა)

სწორედ ახალწლის წინა ღამეს გაბროს ეწვია სტუმრად მისი დაახლოებული მეგობარი თადეოზა. ესენი ორივენი ერთს დაწესებულებაში მსახურებდნენ. თადეოზა უფროს მწერლად იყო, ხოლო გაბრო დღეს „სტოლ-ნაჩალიკად“, თუმცა კი ამ ერთის კვირის წინათ „სეკრეტრის“ თანამდებობა ებარა. მაშასადამე ადვილად იგულისხმება, რომ გაბრო საქმის ვითარებისა გამო ქანდარიდამ დაბლა ჩამოსკუბებულა. განა არ მოგეხსენებათ ათასი ხიფათი სდევს სამსახურის კაცს: ვინ იცის, რაზე გაუწყონ თავისი მეუფროსე, თუმც შეიძლება კი იგულისხმოს კაცმა: შეიძლება ოდესმე ურიგო სიტყვა წამოსცდა სიმთვრალეში თავის მეუფროსზე და ეს იმავე დღეს ყურადეღო, ვისაც უნდა ჰსმენიყო; ან შეიძლება ანგარიშების დროს ბუჯუღები რამ გადაუყვა ჯიბეში. რა ვიცით, ღმერთმა უწყის! ჩვენ მხოლოდ ის უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს კაცი გვიდგა თვალწინ დაჩაგრული და გვერდით უზის თავისი მეგობარი თადეოზი. ხელობა გაბროსი კირილეს ჩაბარეს. ასე, იმ საუფროსოეთში, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, უნცროსი ე. ი. უბრალო მწერალი „სეკრეტრად“ შეიქმნა და წინანდელი უფროსი „სეკრეტარი“ კი მის ხელქვეითად. ასეთმა დროთა ვითარების უკუღმა ბრუნვამ დაკოდა გაბროს გული, ღრმა წყლული დაეჩინა. ხან და ხან იფიქრებდა: მოდი „ასტავკას“ მივსცემ და გამოვალ სამსახურიდამო, მაგრამ არა, თავმოყვარეობა სძალავდა და აუენებდა იქვე კანცელარიასა შინა...

ხოლო კირილეს ჯავრი შავს სოფლავის ქვად აწვებოდა გაბროს გულზე: უნდოდა დაემხო კირილე, მაგრამ როგორ და საით? მეუფროსეს კირილე ძალიან შეუყვარდა და აბა შეძულებული კაცი როგორ შესძლებდა მოწონებულის და შეყვარებულის მოძულებინებას!

ერთი სახსარი-ღა დაჰრჩენოდა გაბროს: უნდა კირილე „დუელში“ გამოეთხოვა, მაგრამ უბედურება ის იყო, ვი ი თუ თითონ მომკვდარიყო, და დაეობლა ცოლი და შვილი, ამიტომ ყოყმანებდა, ხან და ხან კიდეც გადასწყვეტდა გუნებაში სეკუნდანტი გაეგზავნა კირილესათვის და გამოეწვია ბრძოლაში. თავის ნაცნობებს ხან ვის გაკკრეინებდა ყურში, ხან ვის, რომ, ღმერთმანი, მას, გაბროს, მძიმე საქმე აქვს „საქმე სისხლისა“ და თუ ვინიცობაა „ეამმა, საათმა დაჰკრა და მოიკოხა, ნუ დაჰზარდება“.

ვინ იცის იქნება ისიც ეწადა: კირილეს ყურად მივიდეს ეს ამბავი და გულში ჩემი შიში და ხათრი ჩაუვარდესო; ესეც ღმერთმა უწყის, ნურც არაფერს ამაზედ ვიტყვით. მაგრამ ამას კი ვერ დავმალავთ და ღვთისა წინაშე, უნდა ვაღიაროთ; გაბროს უფრო ის აყოყმანებდა, რომ ის უშიშკი თადეოზა სულ იმას გაიძახოდა კირილეზე, საოცარი მსროლელია დამბაჩისაო; ხეზე რომ ბეღურა იჯდეს, დამბაჩით თავს მოაშორებსო. აბა, რას გამაცდენს წინ და წინ მე რომ გამოვითხოვო, მერე თუ სახროლი მანძილიც შორს არ დაგვინიშნეს სეკუნდანტებმაო, ჰფიქრობდა გაბრო გულშალონებული, სულშეხუთული. მწარე ფიქრი იყო ეს ფიქრი მისთვის, მწარე და წუნა-მლაში.

დიასახლისმა ნატომ, გაბროს მეუღლემ, ქმარსა და ქმრის მეგობარს ჩაი მოართვა. ნატო უფრო იჭაჭებოდა, უფრო სწუხდა, რომ იმ წირპლიანმა კირილემ ასე დაუჩაგრა ქმარი. გაბროსაც ნატო ებრალებოდა და ერთი-ორად უწუხდა მეუღლის მწუხარებისა გამო გული. იმ საღამოს სალაპარაკო მარტო კირილეღა იყო.

— მე რომ დედაკაცი ვარ, კავებს გავიყრეინებ, კავებს. თუ მაგ ლილიპუტს ჩემი გაბროს შეურაცხყოფა შევარჩინო, — ამბობდა გაბრაზებული ნატო, — რათა კაცო, რისთვის, რა დაშავა ამ კაცმა, სამსახურს ვერ ასრულებდა, თავის დროზე ვერ მიდიოდა სამსახურში თუ რაო?! გაბრომ ის დაშავა, რომ ყველაფერს პირში ეტყვის და ფეხქვეშ არ გაეგება? თვალი კი დაუდგეს ის კირილეა, თუ რაღაც ვირის თავი.

— შენ არხეინად იყავი, ნატო-ჯან. მაშ გაბრო მოგიკვდეს თუ იმის ჯავრი ვერ ამოგყარო, სთქვა გაბრომ და გულში მუშტი ჩაიკრა. — **А ведь он меня боится, ей богу боится. Не правда-ли?** ღმერთმანი ეშინიან ჩემი, შენ ეგრე გგონია. გელაპარაკები-მეთქი ეშინიან. როგორ გგონია, არა თუ ძმა ხარ, თადეოზ, არ ეშინიან მაშ?!

— ეგ რა ვიცი, იქნება... უმისობა არ იქნება, უპასუხა თადეოზმა და თან ულვაშებში ცბიერად გაიღიმა. მე აქამდის განა ხელს არ მოგიმართავდი „დუელში“ გამოგეთხოვა, მაგრამ ის ოხერი ძალიან ესვრის, ვაი თუ შენ გამოითხოვო და ტყვია მოგარტყას.

— ხმალში, ხმალში. ბიჭო?! ხმალში რომ გამოვითხოვო, არ იქნება კარგი? კარგად არ მოვიგონე? ხა, ხა, ხა. გავაპობ შუაზე. ჰა, როგორ გგონია, არა? გავაპობ-მეთქი, გელაპარაკები, დაიჯერე. სთქვა გაბრომ თვალების ბრიალით. ამ დროს ნატომ მოართვა მომასლაათეთ ორი ბოთლი ღვინო თავის საუზმით. მეგობრები მოუსხდნენ ხასმელ საჭმელს და გააბეს ისევ საუბარი იმავე საგანზე. ნატო კი შეუდგა საახალწლო ტაბლიაკის მზადებას.

— საქმე იმაშია, გაბრო, რომ ვერც ხმალში გირჩევ გასვლას. საშინელი მეხმლეა, ფარიკაობაში ძალიან დახელოვნებულია. მოელი თვე რომ ხმალი უქნიო, შენს შემოქნეულს ისე ოსტატურად აიცდენს, შენვე გაგიკვირდება. აიცდენს და დაგჭრის. მე და კირილე ერთხელ ერთად ვიდექით, სახლი ერთად გვეჭირა და ჯობნები ვხუმრობდით ხოლმე, იმისი ოსტატობა და უნარი მაშინ გავიგე, ჩემს მოქნეულს მუდამ იცდენდა. — სთქვა დაჭეშმარიტებით თადეოზამ.

— შენს დაკრულს რომ იცდენდა, ყმაწვილო, ჩემსას ვერ აიცდენს. ისეთი ბრაგვანი გავადინო თავში ღმერთმანი, რომ მისმა მოტვლეპილმა კინკრიხომ სულ ნაპერწკლები ისროლოს, — სთქვა გაბრომ: — მოკვდეს მაშინ გაბრო, რომ კირილეს ვერ ვაჯობო, ჯანქივით თვალებს დავუბრიალებ, სხვაც რომ არაფერი იყოს და სულ მთლად გადავრეკ. ვგონებ რომ ხმალი ხელიდამ დავარდეს, თორემ ხმარება კი ვეღარ მოახერხოს.

— ღმერთმანი რომ შენ ჩემზე კარგა ვერ იხმარებ ხმალსა, — სთქვა თადეოზამ, ცოტა არ იყოს კიდეც ეწყინა: — აი, შე კაი კაცო, რა შორს მივდივართ, ხმლები თუ არა, ჯოხები ხომ აქა გვაქვს, აი ერთი ჯოხი შენ, ეს მეორე მე. — გაბრომ ჯოხი ჩამოართვა, — გავსდგეთ ექვე ზალაში და ვცადოთ ერთმანეთი ვინ ვის დასჭრის. — ძალიან კარგი. — სთქვა გაბრომ და გადგა განზე, — აბა და ჰა, მარჯვედ იყავი, თადეოზ, — დაიყვირა მძლავრად, მამაცად გაბრომ და თან თვალები დაუბრიალა თადეოზას. თადეოზამ ჯოხს ჯოხი აუკრა და წვერით გულში ატაკა.

— დაჭრილი ხარ, გაბრო, შესდექ, კმარა! — სთქვა თადეოზამ. გაბრომ ხის ხმალი დაუშო და თავი დაჰკიდა. ვაამეო, იფიქრა, უთუოდ ის შეჩვენებული კირილე ხმალშიაც მაჯობებსო და დაესხა გულზე ნავთი.

— ეს უჯერო იყოს. კიდე, კიდე, — სთქვა გაბრომ კვლავ, გამამაცებულმა სიბრაზით.

— ერთხელ კი არა, გაბრო, თუნდ ათასჯერა ვსცადოთ ერთმანერთი, დამარცხებული დაჰრჩები. აი თუ გნებავს, კიდევაც ვსცადოთ.

— უსათუოდ, უსათუოდ. — იძახოდა გაბრო.

— გადექი მაშ განზე. — უთხრა მას თადეოზამ. გაბროც გადგა. — დავიწყოთ! ერთი!

გაბრო გადგა განზე და ჯოხს ხმალი წაუქანავა ვითომ მუცელში, მაგრამ თადეოზამ ისიც აიცდინა და თავისი ხმალი შუბლში ატაკა.

— ეჰ, მაშ რაღა ვქნა. კაცო! **Что-же мне делать!** უსათუოდ მაჯობებს. ეს ხომ უსამართლობა იქნება, მე უცოდინარმა მცოდნესთან ვიბრძოლო. **Не правда-ли?...** ღმერთს გეფიცები. დიდი უსამართლობა იქნება, მაშ რა უნდა ვქნა, რატომ არაფერს მირჩევ?

— მაშასადამე დუელზე ხელი უნდა აიღო და სხვა სახსარს რასმე უნდა მიმართო, მეტი ჩარა არ არის. — ურჩია თადეოზამ.

—არა, დამბაჩა, ისევ დამბაჩა! რაც მოხდეს, მოხდეს, მე დედაკაცი არა ვარ. ქვეშ-ქვეშ, ქურდულად ვიმოქმედო. არა ვარ დედაკაცი, გესმის თუ არა, მე ვაჟკაცი ვარ, კაცი ვარ! როგორც მიყურებ, ისე!.. — ისეთი ხმით დაიყვირა გაბრომ, ნატოც კი დააფეთიანა.

— რა არი, ადამიანო, რამ გაგაბრაზა, რაზე ანჩხლობ, გულს რაზე იწყლავ. — უთხრა ლმობიერის ხმით ქმარს ცოლმა.

— სისხლი ყელშია მოსული, ნატო, ყელში. აღარ შემიძლიან, უნდა დავხლიჩო კირილე ნაჭერ-ნაჭერ.

— მშვიდობით, ჩემო კარგო მეგობარო, მაგ საქმეზე ხვალ მოვილაპარაკოთ. ეხლა ხანი გადასულია, მეც დამეგვიანა. — მიაწოდა ხელი ამ სიტყვებით გაბროს თადეოზამ და გამოეშვიდობა.

ბაბრო კარგა ხანს იყო გაჩუმებული და გაჩერებული. ბოლოს დაიწყო წინ და უკან ბოლთის ცემა. ხან ერთს კედელს მიახლიდა შუბლს დარტიანებულს ინდაურსავით, ხან მეორეს. ბევრის ღვინის სმაც არ შეეძლო, რომ სიმართლითა ვსთქვათ. იმ ერთმა ბოთლმა ღვინომ თუმც არ დაათრო კი, მაგრამ შეახურა, დიდხანს, ე. ი. მანამ კარგა არ დაიღალა, აფლაშუნა გაბრომ იატაკზე და ამაკუნა. ის ფიქრიც უელოდა ამ დროს იმას თავში, რომ „დუელი“ სისულელეა. ის ფიქრიც მოსდიოდა, თავს ეკითხებოდა: მსდალი ხომ არა ვარო და ხან „ჰო“-ს აძლევდა პასუხად ამ საკითხავზე თავს, ხან „არა“-ს. არა ვარ მსდალიო, ამ ფიქრს ამართლებდა იმითი, მაშ ბრაზი რად მომდის თუ მსდალი ვარ, რად მინდა დუელში გამოვიწვიო კირილე და დავცე კიდეცაო.

ჰოს როცა ფიქრობდა, ჰოო, მსდალი ვარო, მაშინ ის აზრი ეკვანძებოდა თავში, რად მეშინიან, რომ კირილემ მომკალო; ვთქვათ ვერც დამბაჩასა ვხმარობ, ვერც ხმალს, მაგრამ წესს ზრდილობისას ხომ დავიცავ, ხომ იტყვიან კაცი ყოფილა და კაცურად მოკვდაო. რამდენჯერ ინატრა ამ ღამეს — ნეტავი ან ალექსანდრე მაკედონელი ვიყო, ან ნაპოლეონი, ან გარიბალდი, ან ვაშინგტონი, — ნეტავი იმითი გული მე ჩამიდო, ტყუილად მიწა არ სჭამდესო. ამ მწარე ფიქრებით დაღალულ-დაქანცული დაწვა ლოგინში, — დაწვა და სულ იმას ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა კირილესთან დუელი. ხან იმას ფიქრობდა კირილეს სეკუნდანტი შეესხეოდა და წამლის მაგივრად ნაცრით გაეტენინა კირილეს დამბაჩა. ხან რას და ხან რას და ამ ტანჯული ფიქრებით გარემოცულს ჩაეძინა... დიაღ, ჩაეძინა და ნეტა არ დაეძინა: ისეთი საშინელი სიზმარი ნახა, რომ კინაღამ აირ-გადაირია; კინაღამ ჭკვიდამ შესცდა. გაბროს ეზმანა, რომ ვითომ მოუვიდა კირილეს სეკუნდანტი და გამოუცხადა, კარტიჩკით, რომელზედაც ეწერა: „გიწვევთ ბრძოლაში, ან მე უნდა ვიყო და ან თქვენო. მეტი ღონე არ იყო, უნდა გასულიყო და გავიდა კიდევაც რის ვაი ნაჩრობით. თქვენ მტერს მოსტყლეს წელი, რომ იმას წელი სწყდებოდა. წინადწინვე გამოეთხოვა თავის ცოლ-შვილს თვალ-ცრემლიანი: „იქნება ცოცხალი ვერღარა მნახოთ და მხოლოდ უსულო ლეში მოგიგიდესთ ჩემიო“.

მართლაც ისე დაემართა. სეკუნდანტად გაბროს თადეოზა ჰყავდა. მაგრამ თადეოზამ ვერაფერი უშველა. კირილემ დამბაჩა ესროლა და ტყვია პირდაპირ გულში მოარტყა. შეუდგა ერთი კვნესა, ერთი ფორთხალი: „ვაჰმე მამკლეს, ვაჰმე მამკლესო“. ლულლულებდა, კვნესოდა და უბედურება ის იყო ვერც გაელვიძნა.

— რა არი, შენ გენაცვალე, რა დაგემართა ადამიანო, მომიკვდა თავი, გამიწყრა ღმერთი, — ჰკვიროდა ნატო: — გაიღვიძე გაბროჯან.

— მო... მკ... ლეეს: გულ... შიი... გულშია ტყვია... — შემოჰლულლუღდა გაბრო ცოლსა.

— რის გულში, რის ტყვია, რას ამბობ, ადამიანო, სიზმარში ხარ, გაახლილი თვალები.

— ვეღარ გავახელ, ვეღარ, ნატო! — იძახოდა გაბრო და თან მომაკვდავივით იმანჭებოდა.

ძლივ რის ვაინაჩრობით, წყლით მოასურიელა ქმარი ცოლმა და თან გოზინაყიც მიაგება პირში. ესე ტკბილად დამიბერდიო.

გაბროს კიდევ არა სჯეროდა და მაინც და მაინც მადლობელი იყო ღვთისა, რომ ცოცხალი გადარჩა, რომ სიზმარში ნახა ყველა ეს და არა ცხადად.

ლექსები იბეჭდება **ზ. ჭუმბურიძის**, ხოლო მოთხრობა და წერილი — **ე. შარაშენიძის** პუბლიკაციით.

რა არის თავისუფლება?

იბეჭდება ეცირელი შემოკლებით

ძოგბა, ერთობა, თავისუფლება, ამ სიტყვებით გაიყღენთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გვგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდესმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღესაც ესმის და ძომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, ნეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე. ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიმპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; ნგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების, შაერთება, რადღა ვეკვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას?...

ბაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, — ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე, ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...

დღესნაზდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამომძენი მოსისხლე მხეცებს...

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა ნკვდრებისთვის, იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩედა უნებურად, ჩენ მიერ ნება დაურთველად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შურისძიებისა სდუღს და გადმოდის...

არ მინდა ვილოცო ის მშვენივრად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა ნე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა გგრძნობდეთ?! სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულვარებისა, მოწამლულ-მომზამული ჩემი სიცოცხლე, ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყველა ზემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან, წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასთრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვაბობ, მაშინ ვარ მონა, არა ძძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება ძძულს კიდეც, მაგრამ ამ ძძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, ძძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!...

არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გაბედებით „სოკვდილი ან სიცოცხლეო“ (ე. ი. თავისუფლება)?! იტყვის და ამბობს კიდეკაც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ, ამკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა ძძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა, ამიტომ, ვიმეორებ, ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავისი არსებით, გულით და გონებით ძტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად... და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისათვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა, ბედნიერებაწართმეულს რა ჰრჩება უბედურების ნეტი? — არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაზაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცოტანანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადავლი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გადაავლეთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანასს. ამკარად დაინახავთ, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა — წამრთმეველი დღეს ტირის, ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დახაკარგა პოულობს, წართმეულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ყაბა ქუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ყაბი? — სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, — სძულს ისინი უსაზღვროდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? — თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის სიმდენიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის, მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც ენებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას საჩრქედად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამავნებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის, ყველა ჩვენგანის, ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში ოდენა თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯავკ-ბოდკალებს სჭედენ, ხაფანგებს, ვაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზიზღებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ეროხობა, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით ნარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო“.

ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან ზნეობრივ და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ...

მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი...

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

(1905-1906 წ.წ.).



1914 წ. **ვაჟა ჩარგალში** (ეს უცნობი ფოტო ქვეყნდება პირველად).



26 ივლისს ვაჟა-ფშაველას დაბადების 100 წლისთავია

მომაჯადოებელი „ლატერნა მაგიკა“

ნახეთ თქვენ ეს საოცრებაა?!

არა, ეს არ არის სიტყვათა თამაში. „ლატერნა მაგიკა“ — ჯადოსნური ფარანი, შორეული წარსულიდან ხიბლავდა და აჯადოებდა თანამედროვე მაყურებელთა უძველეს წინაპრებს. ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში, ცნობილი გამომგონებელი, იეზუიტი ათანასე კირხერი თავის მიერ კონსტრუირებული ჯადოსნური ფარნით მიადგა რომს, რათა გვერდში ამოსდგომოდა ღვთის მსახურთ და სინათლის, ჩრდილისა და ნახატი ანგელოზებისა და ეშმაკების ურთიერთ შერწყმული ჩვენებით მოეჯადოებინა მნახველთა კრებული, აღედგინა ამ ადამიანებში შერყეული რელიგიური გრძნობები.

დროთა მსვლელობაში არანაკლები ინტერესით სარგებლობდნენ ჯადოსნური ფარნით ცირკის გამოჩენილი ფარანგი მსახიობი, შემდეგში „ფერიათა ფილმების“ დიდი ოსტატი ჟორჟ მელიე, ინგლისელი ფიზიკოსი რობერტსონი და სხვები. ერთნი დინტერესებული იყვნენ შემოსავლით, მეორენი ტექნიკური გამომგონებლობით.

... და აი მრავალი ათეული წლის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ჯადოსნური ფარნის შორეული მემკვიდრე — „ლატერნა მაგიკა“. იგი თუმცა ძალიან მცირე ნიშნებით გავს თავის ძველ წინაპარს, მაგრამ მაინც აგრძელებს შუქის ეფექტების გამოყენების იმ ძველ საწყისს, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნიდან ჯადოსნური ფარნების სახით მოდის.

ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით, მძლავრი სინათლის წყაროებით, შესანიშნავი საპროექციო აპარატურით, წინასწარ გადაღებული საუკეთესო ფილმებით აღჭურვილი, უადრესად ნიჭიერი მსახიობებით უზრუნველყოფილი „ლატერნა მაგიკა“ სავსებით ორიგინალური სახისა და მიზანდასახულობის დიდ ხელოვნებად გვევლინება.

„ლატერნა მაგიკა“ სავსებით დამოუკიდებელი ნაწილია პრაღის ეროვნული თეატრისა, იგი ამჟამად შესულია ჩეხოსლოვაკიის „სახელმწიფო ფილმში“, როგორც მისი საექსპერიმენტო სტუდია, აქვს თავისი სპეციფიკური დრამატურგია, რეჟისურა, შესრულების ფორმა და ხასიათი.

ეს არის მთელ მსოფლიოში პირველი თეატრი, რომელმაც სცენისა და კინოს ურთიერთ მჭიდრო დაკავშირებით, სასცენო ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის შემოქმედებითი პრინციპების არა მექანიკური, არამედ ორგანული შეერთებით სამუდამოდ გადაწყვიტა დავა თეატრისა და კინოს ურთიერთ მტრობის შესახებ.

უცქერით სპექტაკლს და უნებურად გაგონდებათ ქართული თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის მიერ ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტი წლის წინათ წარმოთქმული სიტყვები, რომ თეატრი და კინო, როგორც ხელოვნების უდიდესი დარგები, არათუ მტრები არიან ერთმეორისა, არამედ შეავსებენ და ეხმარებიან ერთმანეთს. მათი ურთიერთ შერწყმა დაგვეხმარება დიდი ნაწარმოებების შესაქმნელად. ცხოვრებამ დადასტურა დიდი ხელოვანის აზრის სიმართლე; ამის ნათელი ფაქტია თეატრი „ლატერნა მაგიკა“.

თეატრის უდიდეს შემოქმედებით წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან მოკლე ხანში მოიარა თითქმის მთელი ევროპა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. მისი დადგმები ორი წლის მანძილზე მილიონზე მეტმა მაყურებელმა ნახა. იგი მიწვეულია საგასტროლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, მექსიკაში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში.

წარმატებით ჩაიარა „ლატერნა მაგიკას“ გასტროლებმა შარშან საბჭოთა კავშირშიც — ლენინგრადსა და მოსკოვში, სადაც 150.000 მეტი მაყურებელი დადადგრო.

ასეთივე წარმატება აქვს „ლატერნა მაგიკას“ გასტროლებმა შარშან საბჭოთა კავშირშიც — ლენინგრადსა და მოსკოვში, სადაც 150.000 მეტი მაყურებელი დადგრო.

ასეთივე წარმატება აქვს „ლატერნა მაგიკას“ გასტროლებს თბილისში. თეატრის მთელმა კოლექტივმა თბილისელ მაყურებელთა გულთბილი გრძნობები და

დიდი პატივისცემა გამოსახატა თავისი მაღალიდეური და ბრწყინვალე მხატვრული შემოქმედებისათვის.

მთელი დადგმა პირველი სცენიდანვე იპყრობს ყურადღებას. მაყურებელი მიჰყვება კონფერანსიეს, რომელსაც დიდი ოსტატობით კარაბიერულ მსახიობი მარია სტანეკოვა და თითქოს ამ ცქრიალა გოგონასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ეცნობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დიდ კულტურულ და ეკონომიურ წარმატებებს. ფილმის გმირებთან ორგანულად შერწყმული სცენაზე მოქმედი მსახიობები შესრულების შესანიშნავი ოსტატობით, ცალკეული ნომრების სიუჟეტებით მოგვითხრობენ ჩეხოსლოვაკიის ახალ ადამიანებზე, მძლავრ ფაბრიკა-ქარხნებზე, მუშებზე, ქვეყნის კულტურულ წინსვლასა და სიხარულზე.

სპექტაკლი ორი ნაწილისაგან შედგება. თვითეული ნაწილი განპირობებულია შესატყვისი თემატიკით.

პირველ ნაწილში განსაკუთრებით კარგად არის მოფიქრებული მუსიკალური ნომერი „ცომბალისტებისა და მოცეკვავეების ტრიო“, სლოვაკური ხალხური მუსიკის მოტივზე. ამ ნომერს შესანიშნავად ასრულებენ ცომბალისტები: მიხალ პიროჟკა, ბელა ვონტზემი და ალექსანდერ მესაროში; მოცეკვავეები: მარია დუდკოვა, ადელა გრენდროვა და მარია სიკულოვა.

უნდა აღინიშნოს ნომერი „ჩეხური მინა“, ჩეხოსლოვაკიის კინოხელოვნების გამოჩენილი რეჟისორის — თოჯინების ფილმის შესანიშნავი ოსტატის, კარელ ზემანის ფილმის „მთაგონების“ ნაწყვეტი, რომელიც ჩეხური ბროლის თემას ეხება. როგორც ცნობილია, კარელ ზემანმა სპეციალური ფილმიც კი მიუძღვნა ჩეხურ მინას, ჩეხურ ბროლს, მის შემოქმედ მუშებს. ამ ფილმში უდიდესი ხელოვნებით ათამაშებული ბროლის გაცოცხლებული თოჯინების სახეები ჩეხური ბროლის მშვენიერებისა და სიძვირფასეზე მოგვითხრობენ. საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაკთა ერთმა ჯგუფმა პრაღაში ყოფნისას ვნახეთ ეს ფილმი და უდიდესი შემოქმედებითი სიამოვნება განვიცადეთ. ასეთივე სიამოვნებას განიცდის მაყურებელი. როცა ეკრანზე „ლატერნა მაგიკას“ მსახიობებთან ერთად, იმ ფილმის ერთ ნაწილს ხედავს. ეს ნაწყვეტი დიდი ოსტატობით არის ჩადგმული სპექტაკლში.

აღტაცებას იწვევს ფილმ „შთაგონების“ შემდეგი ნომერი: „კინო ბალეტი“ სადაც სცენაზე მოცეკვავე მსახიობის ხელში უპირავს რგოლი, რომელშიც ვხედავთ მეორე მოცეკვავე ქალს. ისინი შეთანხმებულად ცეკვავენ.

სპექტაკლის გვირგვინს წარმოადგენს მეორე ნაწილი, რომელიც გვიჩვენებს ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურულ სპარტაკიადას, პრაღის გაზაფხულს. ფილმს „ჩაშლილ პაემანს“, სლოვაკური ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ანსამბლს...

ოპერატორის ხელოვნების თვალსაზრისით ბრწყინვალედ გადაღებული დოკუმენტური ფილმი — სპარტაკიადა ნათლად გვიხატავს ჩეხოსლოვაკიის სიცოცხლით სავსე, ჯანსაღი ახალგაზრდობის ცხოვრების ერთ ნაწილს, ამ ახალგაზრდობის შეუპოვარ ძალას, სიმარდეს, სილამაზეს. აქ ორგანულად ერთმანეთს ერთმანეთს სცენაზე შესრულებული და ეკრანზე მიმდინარე ვარჯიშობანი.

ბრწყინვალე რეჟისორული ხელით არის შექმნილი ეპიზოდი „ჩაშლილი პაემანი“. ამ ნომერში ავტორები მოგვითხრობენ კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიაზე. ხედავთ იეზუიტ ათანასე კირხერს თავისი ჯადოსნური ფარნით, ნახატი ეშმაკებითა და ანგელოზებით. ხედავთ მეიბრიჯის გაჭენებულ ცხენებს მოძრავი ფოტოგამოსახულების წინაპარს, ფიზიკოს რენოს ოპტიკურ თეატრს, ედისონის კინეტოსკოპს, ლუი და ოგიუსტ ლუმიერებს მათ მიერ შექმნილი კინოაპარატით, პირველ ჩეხ კინორეჟისორს იან კრეჟანეკაის და, ბოლოს, ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფიის პიონერის შვაბი მალოსტრანსკის სცენარის მიხედვით ცხრაასიან წლებში გადაღებული ფილმის „ჩაშლილი პაემანის“ მიბაძვით შექმნილ ამავე სახელწოდების ფილმს და ვერდის ოპერა „ოტელოს“ თემაზე გადაღებულ ეპიზოდს.

ეს ნომერი აგებულია კინემატოგრაფიული ტრიუკების ოსტატური გამოყენებით. ხმოვან პერიოდში კინემატოგრაფიის ეს მეტყველი ენა, როგორც ცნობილია, თითქმის დაიკარგა. „ლატერნა მაგიკა“ თავის სპექტაკლში და კერძოდ ამ ეპიზოდში ცდილობს აღადგინოს იგი და კვლავ დაუბრუნოს კინემატოგრაფს. ასეთი მომენტებია: ერთი ფილმიდან მეორეში გადასვლა მოქმედი გმირებისა.

ნომერი „ჩაშლილი პაემანი“ აღსანიშნავია მსახიობთა შესანიშნავი თამაშითაც. არტისტული შესრულებით გვხიბლავენ მსახიობები: ფრანტიშეკ ზვარიკი — ოტელო, მილენა დვორსკა — დეზდემონა, ფრანტიშეკ ფილიპოვსკი — ქმარი, მილოშ კოპეცკი — საყვარელი, ირენა კაჩირკოვა — ცოლი,

მაყურებელთა აღტაცებას იწვევს დოკუმენტური ფილმი „პრაღის გაზაფხული“. ფილმში მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი ევროპის ეს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. მეტყველი, მკაფიო, ფერადი ფოტოგრაფია ნათლად გვიხატავს როგორც ძველ, ისე ახალ პრაღას, თავისი დამახასიათებელი ნიშნებით.

სპექტაკლს მთლიანი მძლავრი რიტმი, დინამიკურობა და დიდი მხატვრული ტაქტი ახასიათებს. მრავალმხრივი ექსპოზიციის გზით გადაღებული სხვადასხვა სახე, ამ სახეთა შესატყვისად მსახიობების მოქმედება სცენაზე, როგორიც არის კონფერანსიეს საუბარი თავის ორეულთან, პიანისტი ფინალურ ნომრებში და სხვ. როგორც ტექნიკურად, ისე გამოსახულების თვალსაზრისით ბრწყინვალედ არის შესრულებული.

სინათლე, მუსიკა, ხმა, მხატვრული სიტყვა და სხვა კომპონენტები სპექტაკლში გამოყენებულია სრული ბუნებრივობით, მათემატიკური სიზუსტით, დიდი მხატვრულობით. ამიტომ არის, რომ სპექტაკლში არ არის არც ერთი წამიერი დისონანსიც კი, რაც შეაწუხებდა მხედველობას, ეჩხირებოდა სმენას. როგორც სცენაზე, ისე ფართო და პატარა ეკრანებზე მიმდინარე მოქმედებაში დაცულია სრული მთლიანობა და თანაფარდობა.

ტექნიკური მძლავრი მოწყობილობა საშუალებას იძლევა დაახშოს საპროექციო აპარატურის ხმაური, დაიცვას სრული სინქრონულობა ეკრანსა და სცენაზე. ეს კიდევ უფრო ამაღლებს სპექტაკლის ეფექტურობას, ზრდის ზემოქმედებითს ძალას, აადვილებს სპექტაკლის აღქმას.

„ლატერნა მაგიკას“ შემოქმედებითმა კოლექტივმა — თეატრის ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა ალფრედ რადოვმა, მთავარმა მხატვარმა იოზეფ სვობოდამ, სცენარისტმა მილუშ ფორმანმა, რეჟისორებმა იან როგაჩმა და ვლადიმირ სვიტაჩევმა თავიანთი ხელოვნებით ახალი სიტყვა თქვეს ხელოვნების ისტორიაში.

თეატრი „ლატერნა მაგიკა“ ბრწყინვალე მომავლის ხელოვნებაა.

თბილისელი მაყურებლები, რომლებიც დიდი კმაყოფილებით იღებენ ამ თეატრის დადგმას, სულით და გულით უსურვებენ შემდგომ შემოქმედებითს წარმატებას მის შესანიშნავ კოლექტივს.

კარლო გოგოძე,
კინოდრამატურგი.

• • •

სურათებზე: სცენები „ლატერნა მაგიკას“ სპექტაკლიდან.



ქოგულეთი. ფიქვნარში. ფოტო ბ. დადვაძისა.

ინ. ა. გაგარინი ლონდონს ეცნობა

ლონდონი, 13 ივლისი, (საკდესი). დღეს საგზოთა კოსმონავტმა მფრინავმა იური გაგარინმა, რომელიც სტუმრად იმყოფება ინგლისში, ლონდონში იმოგზაურა და გაეცნო მის ღირსშესანიშნაობებს.

ლონდონის ლორდ-მერის ოფიციალურ რეზიდენციაში მენშენ ჰაუსში ი. გაგარინს გულითადად მიესალმა ქალაქის ლორდ-მერი სერ გერნანდ უელი-კოუნი.

შემდეგ ი. გაგარინმა დაათვალიერა ლონდონის ძველი ციხე-სიმაგრე ტაუერი.

ინგლისის პრესა კვლავ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმიდა ი. ა. გაგარინის ვიზიტს ინგლისში, პირველ გვერდზე ათავსებს დაწვრილებით ანგარიშს და უამრავ ფოტოსურათს ლონდონსა და მანჩესტერში მისი ყოფნის შესახებ.

„ინგლისელებმა, — წერს დღეს გაზეთი „დეილი ექსპრესი“, — ალფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს ახალგაზრდა რუს კოსმონავტს. ისინი შენატრიან რუსეთს, იმიტომ, რომ მან დაიწყო გმირობის ახალი საუკუნე“.

შტრაუსი ამერიკაში მიემგზავრება

ბონი, 13 ივლისი, (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა „საინფორმაციო ვიზიტით“, რომლის დროსაც მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან, სახელმწიფო მდივან რასკთან და ფინანსთა მინისტრ დილონთან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო უარს ამბობს გამოაცხადოს პროგრამა შტრაუსის მოლაპარაკებისა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ადგილობრივი პრესის მონაცემებით. ამ მოლაპარაკების ცენტრში იქნება დასავლეთ ბერლინის საკითხი და ნატოს საომარი მზადების პრობლემები.

შტრაუსის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 14 დღეს გაგრძელდება.

მიწისძვრა სოჭში

სოჭი, 13 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოჭის სეისმურმა სადგურმა გუშინ დღის განმავლობაში ათი მიწისქვეშა ბიძგი აღნიშნა. ყველა ეს ბიძგი მოდიოდა ერთი კერიდან, რომელიც სეისმოგრაფიული მონაცემებით ქალაქის ცენტრის სამხრეთ სანაპირო ნაწილშია. ყველაზე ძლიერი ბიძგი ორსამ ბალს აღწევდა.

ნაბადი მწყემსებს

თელავი. (საკ. კორ.). — ორი წელია, რაც თქვენი სანარმოს მიერ დამზადებული ნაბადი ზამთარში შირაქის საძოვრებზე მიცავს წვიმისა და სიცივისაგან, ზაფხულში კი — კავკასიონის მწვერვალებზე. ჯერ სიძველე არ ეტყობა. ნამდვილად კარგი ხარისხისაა...

ეს წერილი ახმეტის რაიონის ზემო ალვანის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსმა ი. იდოიძემ გამოუგზავნა თელავის რაიონის მონადირეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ბ. მწყურაძეს. მართლაც, თელავური ნაბადი ყველა მწყემსს მოსწონს.

ნაბდების დამამზადებელ საამქროს ექვს თვეში 750 ცალი ნაბადი უნდა გამოეშვა. ეს იყო დავალება. ფაქტიურად 785 ცალი ნაბადი დამზადა. საამქროს კოლექტივმა ნაბდების გამოშვების წლიური გეგმის შესრულება პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის იკისრა. მის შესასრულებლად ყველა ბეჯითად შრომობს.

38-ე დუელი

შორს ნუ წავალთ, საჭიროა მხოლოდ „ტორპედოს“ გვერდით ვახსენოთ „დინამო“, და ფეხბურთის მოყვარულისათვის ერთბაშად ნათელი გახდება, თუ რომელ დინამოზეა ლაპარაკი. დიახ, ეს თბილისის „დინამოა“ გახლავთ, ის „დინამო“, რომელმაც დღევანდელ ჩემპიონთან და თასის მფლობელთან — მოსკოვის „ტორპედოსთან“ სპორტული პაექრობის შესანიშნავი ტრადიცია დაენერგა.

მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრებს მუდამ ზოლად გასდევს დიდი ფეხბურთის დიდი ორთაბრძოლა.

გადავხედოთ წარსულს: 17 გამარჯვება, 7 ფრე, 13 დამარცხება — ასეთია თბილისის დინამოელთა ბალანსი „ტორპედოსთან“ საკავშირო პირველობის მატჩებში.

მაგრამ აქ გვინდა მოვგონოთ მკითხველს, რომ ეს აქტიური ბალანსი მხოლოდ შორეული ჩემპიონატებიდან მომდინარეობს. რაც შეეხება შეხვედრებს 1958 წლიდან, ტორპედოელებმა „დინამოსთან“ მატჩებში არ იციან, თუ რა არის დამარცხება.

და აი დღეს ჩვენ კვლავ დიდი ფეხბურთის მოლოდინში ვართ.

ეს იქნება ძველ მეტოქეთა ოცდამეთვრამეტე დუელი.

ჩემპიონატი კალათბურთში

ტარტუ, 13 ივლისი, (საკდესი). ანგარიშით 60 : 49 (25 : 31) „ტრუდის“ (მოსკოვი) კალათბურთელ ქალთა გუნდმა გაიმარჯვა ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“. ეს ლენინგრადელთა პირველი დამარცხებაა ჩემპიონატის ფინალურ თამაშში.

არმიის სასპორტო კლუბის (ლენინგრადი) კალათბურთელებმა ნოუგეს მოსკოვის დინამოელებს —73 : 49 (30 : 24). ტარამაი-ტროლეიბუსის ტრესტის (რიგა) სპორტსმენებმა დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის (ლენინგრადი) გუნდი. ანგარიშით 58 : 41 (28 : 17). უნივერსიტეტის სასპორტო კლუბის (ტარტუ) და „ბურევესტნიკის“ (თბილისი) შეხვედრის შედეგია 65 : 43 (29 : 18) ესტონელ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

მოსკოვი, 12 ივლისი. (საკდესი). მესამე დღეა ჩვენს დედაქალაქში მიმდინარეობს ფესტივალის ფილმების საკონკურსო ჩვენება. მოსკოველებმა და სტუმრებმა უკვე ნახეს სხვადასხვა კონტინენტის 10-ზე მეტი ქვეყნის კინოსურათები და მათი დემონსტრაციის დროს მაყურებელთა სახეები გამოხატავდნენ სიხარულს, რომ ეცნობიან სხვა ხალხების ცხოვრებას. გაისმის ტაში, როცა კინოკადრებს დარბაზში შემოაქვთ დედამიწის ადამიანების მეგობრობისა და ძმობის იდეები.

ამიტომ შეხვდნენ ასე მხურვალედ დღეს ფერად იტალიურ ფილმს „დიდ ოლიმპიადას“, რომელიც მიეძღვნა 1960 წლის რომის XVII ოლიმპიურ ასპარეზობას.

ფილმი მოგვითხრობს იმაზე, როგორ ცხოვრობდნენ ერთ ოჯახად ყველა კონტინენტის, ყველა ფერის, კანის ახალგაზრდა ადამიანები ოლიმპიურ სოფელში ორი კვირის მანძილზე. ცხოვრობდნენ, ერომანეთს ეჯიბრებოდნენ, შეუბოვრად იბრძოდნენ სპორტული გამარჯვებისათვის და ერთგულად მეგობრობდნენ.

ფილმში ყველაფერი კარგია — ოპერატორთა ხელოვნებაც, ფერიც, მუსიკაც. მაგრამ, შესაძლოა, ამ ფილმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ფილმის შემქმნელთა გულთბილი ობიექტურობა, ერთნაირი კეთილი დამოკიდებულება ოლიმპიური ასპარეზობის ყველა მონაწილის — სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მიმართ.

ამით აიხსნება მქუხარე ტაშიც, რომელმაც იფეთქა დარბაზში, როცა ფილმის დამთავრების შემდეგ მაყურებლებს გააცნეს იტალიელ კინომოღვაწეთა დელეგაცია ალბერტო ფიორეტის მეთაურობით, რომელსაც გვერდით ამოუდგნენ „დიდი ოლიმპიადის“ შემქმნელი რეჟისორი რომოლო მარჩელინი და პოპულარული კინომსახიობი ჯინა ლოლობრიჯიდა. მათი წინადადებით ესტრადაზე მიიწვიეს „ფილმის გმირები“ — ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენები იური ვლასოვი, თამარ პრესი, ვერა კრეპკინა, რობერტ შავლაყაძე. ოლეგ გრიგორიევი, ვიქტორ ციბულენკო, ვიქტორ ჟდანოვიჩი, იური სისიკინი. მათ ხელი ჩამოართვეს იტალიის კინემატოგრაფისტებს, მხურვალე მადლობა გადაუხადეს შესანიშნავი ფილმისათვის.

დღეს აჩვენეს აგრეთვე შვეიცარიული კინოსურათი „ვილჰელმ ტელი“ (რეჟისორი მიშელ დიკოფი).

ფესტივალის მონაწილე რიბა ლიმონტა (კუბა), **რომელიც მიესალმება „კომუნისტის“ მკითხველებს.**

მეგობრული შარჟი „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტის

გ. ფირცხალავასი.

ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲣᲒᲚᲘᲝᲠᲔᲒᲘ

დედაქალაქის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ ძირითადი და დუბლიორთა გუნდები გათამაშებათა ცხრილებში ორ პოლუსზე იმყოფებიან.

ამიტომ ამ გუნდების დუბლიორთა გუშინდელი მატჩი თბილისში აუტსაიდერთა ასპარეზობა იყო. დინამოელთა რიგებში იყვნენ — მაჭარაძე, გუმბერიძე, ებანოიძე, წუწუნავა, ხუნდაძე, ხელაძე, ცინცაძე, იაშვილი, მაისურაძე, მაღრაძე, ვასაძე.

ძლიერმა წვიმამ დაღი დასცა თამაშს, თუმცა ბრძოლა მაინც ტემპიანი და მძაფრი გამოდგა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ მალე ხელაძემ, რომელიც გამოირჩეოდა კარგი თამაშით, საპასუხო გოლი გაიტანა. ბოლო წუთებში ტორპედოელთა მეკარის კავაზაშვილისა და მცველთა შეცდომით სტუმართა კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

მეორე ტაიმში „ტორპედოს“ ცენტრფორვარდმა ხრომოვმა დამატებით 2 ბურთი გაიტანა. გაიმარჯვეს „ტორპედოს“ დუბლიორებმა 3:2.

ᲐᲚᲐᲛᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲔᲡ

თბილისი სასპორტო ბაზებზე ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პროფკავშირთა მესამე რესპუბლიკური სპარტაკიადა. 12 ივლისს გაიმართა უკანასკნელი შეხვედრები.

ჯგუფურ ველორბოლაში უძლიერესი იყვნენ „ბურევესტნიკის“ ქალთა და „განთიადის“ ვაჟთა გუნდები. ფრენბურთში გაიმარჯვეს „ბურევესტნიკის“ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა.

ფესტივალის მონაწილე რიბა ლიმონტა (კუბა), **რომელიც მიესალმება „კომუნისტის“ მკითხველებს.**

ძალოსანთა ასპარეზობაში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ სამეალო, ქვემძიმე და ძმიმე წონის შტანგისტები. სპარტაკიადის ჩემპიონები ამ წონითს კატეგორიაში გახდნენ გ. ნარსია, გ. ბაზაძე და გ. სანიკიძე. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა „განთიადის“ შტანგისტთა კოლექტივმა.

წყალში მხტომელთა დასკვნითს ასპარეზობაში გაიმარჯვეს ტ. ინწკირველმა, ნ. ნუდელმა, გ. ქირიამ და ტ. მირზოიანმა.

სპარტაკიადის ალამი დაუშვეს. საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ სპორტსმენთა კოლექტივმა. მომდევნო ორი სპარიზო ადგილი დაიკავეს „განთიადისა“ და „სპარტაკის“ გუნდებმა.

შედგენილია საქართველოს პროფკავშირთა ნაკრები გუნდი. იგი მონაწილეობას მიიღებს პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც მოსკოვში გაიმართება.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის.

ბაკოში ერთმანეთს შეხვდნენ რიგის „დაუგავასა“ და ბაკოს „ნეფტინანკის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა დაუგავას გამარჯვებით 2:1.

სტალინოში ლენინგრადის „ადმირალტეიესა“ და სტალინოს „შახტიორის“ ფეხბურთელთა კოლექტივების შეხვედრის შედეგია 1:0 ლენინგრადელთა სასარგებლოდ.

მოსკოვში დედაქალაქის „ლოკომოტივი“ თამაშობდა ვორონეჟის „ტრუდის“ წინააღმდეგ. მატჩი მოიგეს ლოკომოტიველებმა 5:1.

ერევანში ტალინის „კალევისა“ და ერევნის „სპარტაკის“ მატჩში გამარჯვებული გამოვიდა ერევნის „სპარტაკი“ ანგარიშით 2:0.

ალმა-ატაში ერთმანეთს შეხვდნენ მინსკის „ბელარუსისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ გუნდები. მატჩის შედეგია 2:0 „კაირატის“ სასარგებლოდ.

კიევში მეორე ქვეჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი კიევის „დინამო“ თამაშობდა კიშინიოვის „მოლდოვასთან“ და გაიმარჯვა 2:0.

კომუნისტი სპორტი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

თბილისი „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდი საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩებში წარმატებით გამოდის. ლენინგრადელებთან ორი შეხვედრის ზედიზედ მოგების შემდეგ ისინი კაუნასში გიმგზავრნენ ადგილობრივ „ჟალგირისთან“ შესახვედრად.

ეს მატჩი გაიმართა გუშინ. ბრძოლა თავიდანვე თბილისელთა უპირატესობით წარიმართა და ანგარიშიც მათ სასარგებლოდ იზრდებოდა.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მასპინძლებმა შეძლეს ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და ქულათა სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, მაგრამ ბიზნის მისაღწევად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ბოლო წუთები დინამოელთა ეერიშებით აღინიშნა. მათ შეძლეს მოწინააღმდეგის კალათში ორი ბურთის ზედიზედ ჩაგდება და გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით 77 : 73.

მორიგი შეხვედრა დინამოელებს ექნებათ რიგაში ადგილობრივ სკა-სთან.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ტარტუ, 13 ივლისი, (საკდესი). ანგარიშით 60 : 49 (25 : 31) „ტრუდის“ (მოსკოვი) კალათბურთელ ქალთა გუნდმა გაიმარჯვა ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“. ეს ლენინგრადელთა პირველი დამარცხებაა ჩემპიონატის ფინალურ თამაშში.

არმიის სასპორტო კლუბის (ლენინგრადი) კალათბურთელებმა ნოუგეს მოსკოვის დინამოელებს —73 : 49 (30 : 24). ტარამაი-ტროლეიბუსის ტრესტის (რიგა) სპორტსმენებმა დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სასპორტო კლუბის (ლენინგრადი) გუნდი. ანგარიშით 58 : 41 (28 : 17). უნივერსიტეტის სასპორტო კლუბის (ტარტუ) და „ბურევესტნიკიანი“ (თბილისი) შეხვედრის შედეგია 65 : 43 (29 : 18) ესტონელ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ᲣᲪᲮᲝᲣᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲛᲘᲛᲔᲓᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ბონი, 13 ივლისი, (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა „საინფორმაციო ვიზიტით“, რომლის დროსაც მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ მაკნამარასთან, სახელმწიფო მდივან რასკთან და ფინანსთა მინისტრ დილონთან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო უარს ამბობს გამოაცხადოს პროგრამა შტრაუსის მოლაპარაკებისა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ადგილობრივი პრესის მონაცემებით. ამ მოლაპარაკების ცენტრში იქნება დასავლეთ ბერლინის საკითხი და ნატოს საომარი მზადების პრობლემები.

შტრაუსის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 14 დღეს გაგრძელდება.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲜᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲡᲠᲐᲛᲖᲔ?

მარნეული, (ჩვენი საკ. კორ.). თევზი არაფერს ამბობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც იტყოდა თავის სატკივარს, რომ მისი სიცოცხლის ზომსპობი ადამიანები ენახა!

ეს ამბავი კი ასე მოხდა.

მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანის ოთხმა მცხოვრებმა არმას და ნიკოლოზ მაჩკალიანებმა, მიხაკ არუთინიანმა და არტაშ ნადირიანმა გადაწყვიტეს — ქურდულად გაპარულიყვნენ ხრამზე, მოეწამლათ თევზი და თბილისის ბაზარზე გაეყიდათ ნადავლი. მათ კარგად იცოდნენ, რომ თევზი მრავლდებოდა სოფელ ლეჭბადინის ახლოს, მოხსნეს „მოსკვიჩს“ ნომერი, შეიარაღდნენ მომწამვლელი ნივთიერებით და გაემგზავრნენ თევზის დასახოცად.

დანიშნულ ადგილას მივიდნენ, საწამლავი უნდა ჩაეყარათ ხრამში, როცა მილიციამ დანაშაულზე მიუსწრო, შეიპყრო ყველა და პასუხისგებაში მისცა.

სამეგრელოს ... ...